# ცისკარი.

## 1871

### მარტი

წელიწადი მეთხუთმეტე.

---

წოდება თხზულებათა:


I.—სიტყჳა. თქმული გრიგოლ ენაკოლოფოვის მეუღლის დასაფლავებაზედ. კ. კოლუბანსკისა.

II.—იერუსალიმისკენ მოგზაურობა. :: :: :: :: :: ::

III.—ვარანცოვის მეგლსა. კნ. ეკატერინე ერისთავის ლექსებითგან.

IV.—ლუკიანე. (მოთხრობა.) :: :: :: :: :: :: ::

V.—სხჳა ⁊ სხჳა ანბავი. კ. ბერმენოვისა.

VI.—რამდენიმე დარიგება ყრმის აღზრდისათჳს. :: ::


---


ტფილისს.

მარტირუზიანის ტიპოგრაფიაში.

# ს ი ტ ყ უ ა

ჩემის მეგობრის გრიგოლის ენაკოლოფოვის მეუღლის დასაფლავებაზედა. ნათქვამი კონსტანტინე კოლუბანსკისაგან 3-ს მარტსა 1871 წელსა.

---

ვთხოვ მოისმინო რამოდენიმე სიტყუა, შენის მწუხარის გულითა ძმაო და მეგობარო გრიგოლი!

28-სა წარსულსა თვესა, განგშორდა შენი უსაყვარელესი და უძვირფასესი ცოლი ამ ქუეყნით და დღესა მიეცა შავსა მიწასა შინა; მას აქეთ ჩეენერგა შენს გულში საშინელი ცეცხლი, რომელიც არ გაქრება მანამ ცოცხალ ხარ.

გამოცდილი ვარ ძმაო; საშინელი, საზარელი და მოულოდნელი მწუხარება მოგაყენა ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა, რომელიცა ძნელ-არს გარდახდა ამ საშინელის მდგომარეობისა.

ნუ გიკვირნ ძმაო, ამისთანა მსწრაფლი და მოულოდინებელი უბედურობა, რამეთუ სიცოცხლე კაცისა არ არის დამოკიდებული ჩუენ ზედა, არამედ არს მაცხოვარზედ იესო ქრისტეზედ.

მაშასადამე უნდა აღსრულდეს ნება მისი!

ვიცი ძმაო, შენი მწუხარება ძლიერია, მაგალითი გვყავს თჳთ მაცხოვარი, რომელმანცა ამისთანა მდგომარეობაში, თჳთონაც ვერ გასძლო ცრემლის დაუღვრელობა, მხოლოდ მანვე მოგვცა ჩვენ ნუგეში, რომელმან სთქჳა: „სიკჳდილი ქრისტიანეთათჳს არს განსვენება.“

ვგრძნობ მეგობარო ჩემო, რომ არაფერი მწუხარება არ დაადნობს დ არ დაჭკნობს გულსა კაცისასა, როგორც განშორება საუკუნოთ თავის საყვარლის დ უძვირფასესის მეუღლესთანა დ მიცემა მისი შავსა მიწასა შინა.

როდისაცა ახლად შესვენებული უმანკო დ ჰატიოსანი გვამი სოფიო, აბარებდა სულსა თჳსსა წმინდათა ანგელოზთა, რათა მათ წარუდგინონ წინაშე უფლისა დ როდისაც გესალმებოდა შენა ვითარცა საყვარელსა დ უძვირფასესსა ქმარსა, მაშინ გაბარებდა ნუგეშად ახლად შობილსა მესა, დასამტკიცებლად სიყვარულისა მისისა, მზრუნველობასა შენსა, მაშასადამე ეს ბოლო მისი ანდერძი უნდა იყოს შენთვის დაურღვეველი, ამის გამო, უნდა შეიმსუბუქო შენი მწუხარება, რამეთუ აღუსრულო თხოვნა შენის უძვირფასესის ცოლისა; რადგანაც მწუხარებით არა არს შესაძლებელი არა კეთილის საქმისა აღსრულება.

გარდა ამისა, მიმხედველი მოხუცებულთა მშობელთა შენის მეუღლისა, ვალდებულათა გყოფს ქრისტიანული წესი დ სიყვარული მათი, აღიმსუბუქო მწუხარება შენი;

იფიქრე, რომელ ვითარცა შენი მეუღლე იყო შენთჳს უძვირფასესი საუნჯე თავის კეთილის გონივრულის ქცევითა, ისე არის საყვარელი წინაშე ქრისტესსა, რომელიცა ჩუჱნ ყოველნი კეთილნი სულნი ქრისტიანენი, მას ვესავთ დ ვნეტარებთ.

პატიოსანნო აქა მდგომარენნო, მონანო დ მხევალნო დ ჩემის მეგობრის გრიგოლის მწუხარების მონაწილენო! საზოგადოდ ვთხოვოთ დ ვევედრნეთ ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა მას დ მოხუცებულსა მშობელსა მისცეს მოთმინება, ამ მწუხარების გარდახდისა დ ახლად შესვენებულსა პატიოსანსა დ უმანკოსა გვამსა სოფიოს, დაემკვიდროს სასუფეველი ცათა!

# იერუსალიმისაკენ მოგზაურობა.

---

## III.

განთიადმა გვაჩვენა იმ ღამის ჩუჱნი ბანაკი, ჩუჱნ ვიყავით პატარა მინდორზედ, სადაცა ეთესა ქერი, რომელიცა უეჭველია უნდა ყოფილიყო მღვიმეში მცხოვრებლებისა. იმ ღამეს ცეცხლი რომ ავანთეთ ძეძვით, რომელიცა ძლივს ვიპოვნეთ ღამის სიბნელეში, თურმე ყოფილიყო დაბალი ღობე, არაბებისაგან შემოვლებული ჭირნახულზედ. რამდენიმე ვერსი გამოვიარეთ და იმის მეტად არსად შეგვხვედრია პურით დათესილი მინდორი; მაშასადამე ძრიელ შევწუხდებოდი, რომ შემოძეძვილი ყანა, მოუნგრიეთ, და ამას გარდა არ იყო რომ ჩუჱნმა ცხენებმაც ზიანი მისცეს, ამ უდაბურის ალაგის მიწის-მხვნელთა.

ცხენებზედ ჩუჱნი ბარგის აკიდებას კიდევ მოუნდებოდა ერთი საათიცარი; მზე კიდეც ამოვიდა, მინამ ცხენებს აჰკიდებდნენ, მაშინ დავინახეთ მღვიმეში მცხოვრებნიცა, ისინი შეყრილიყვნენ ერთად ორმოც და ათ კა-

ცამდინ და მორბოდნენ ჩუჱნკენა, ყვირილით; მაგრამ რამდენიც მოგვიახლოვდებოდნენ, იმდენი იმათი ყვირილი თან და თან წყნარდებოდა; ბოლოს სრულებით გაჩუმდნენ, რა მოგვიახლოვდნენ ორმოც ბიჯზედ. ჩუჱნმა მოსამსახურეებმა იმათ ყური არ ათხოვეს და ცხენებსა სტვირთამდნენ; უეჭველია იცოდნენ, რომ მთის მტაცებელი ხალხის შემაგრებისათჳს, უფრო საჭირო იყო მშვიდობიანად მოქცევა. ამ ჩუჱნმა გულის სიმტკიცემ ამდენი არაბი შეაყენა. იმათ ველარ შემოგვბედეს ახლო მოსულიყვნენ, უეჭველია იფიქრეს, ჩუჱნა გვქონდა რიღასიც იმედი, რამდენჯერმე შევნიშნე, ისინი ერთი მეორეს ამხნევებდნენ და რაღასაც ბოროტ განზრახვის აღსრულებას გვიპირებდნენ, ბოლოს თითქოს გაბედესო და ყვირილით წინ წამოდგნენ, მაგრამ რა ნახეს, ჩემი ამალა ისევე მშვიდობიანათ ჰკიდებდნენ ბარგსა და ბოლოს ერთი ჩამოდანიღა დარჩომილიყო აჰკიდეს, მაშინ არაბებმა გამბედაობა სრულებით დაჰკარგეს და უკან ერთიანად გაბრუნდნენ.

მე ძრიელ შევშინდი, მეორედ არ დაბრუნებულიყო ეს ხროვა და არ გავეცარცვეთ; უნდა ჩუჱნი მოსამსახურეებისათჳს მეთქუა აჩქარებულიყვნენ, მაგრამ იმათ რომ დაინახეს მთის კაცების დაბრუნება, უჩემოთვე აუჩქარეს და ცხენიც მომგვარეს შესაჯდომად.

ჩუჱნ გავემგზავრენით დაუბრკოლებლივ და რა გამოვიდა რამდენიმე საათი, შევხვდით იბრაიმ ფაშის ცხენოსან ჯარსა; ის ყოფილიყო თურმე დაბანაკებული

იმ ღამეს ჩუჱნზედ ახლოს. აქ მივხვდი, რომ არაბებმა ვერა გაგვიბედესრა, თურმე ეს იყო მიზეზი.

შუადღე რომ მოახლოვდა, დავხედე კარტას, რომელიცა თან დამქონდა და დაუწყე ყვედრება ჩემს წინამძღვარს, თუ რათ შეგვიშალა გზა და მიგვცა ამისთანა განსაცდელსა. ის ფიცულობდა, რომ სრულებით არ ვიცოდი, თუ აქ მღვიმეში მცხოვრებლები იქნებოდნენო, როდესაც შევამოწმე კარტა ჩუჱნ მოგზაურობასთან, ვნახე რომ იმ გზითგან, რომელ გზაზედაც უნდა გვევლო, ორი დღის სავალზედ ვიყავით; ვნახე რომ იმ ზღვასთან ვიყავით ახლოს, რომელსაცა გეოგრაფია უწოდებს მკუდარ ზღვასა. სწორეთაც ისე იყო, ამისათჳს რომ, რამდენიმე მინუტის შემდგომს დავინახე შექურუთებული ზღვის სივრცელე.

ჩუჱნ მიველით ზღვის კიდეზედ, რომლის განუსაზღვრელი სივრცელე მივიდოდა შორს სამხრეთის მხრისაკენ. გადავავლე თვალი გარშემო და ვნახე, რომ დამაფიქრებელი ნანგრევი გორაკები აქა-იქ, თითქოს შეწუხებულის სახით განიბნეოდნენ; ზედ არავითარიმე მცენარის კვალი არ მოიპოვებოდა ისე მწარედ გაფხეკილი იყო; რომ შევხედე, მეტად დამანაღვლიანა; როდესაც მომაგონდა ამ გორაკების ქვეშ ჩანთქობილი სოდომგომმორი, არც ერთი მწერი არსად მოიპოვებოდა; არსად არ ისმოდა არა ვითარიმე ფრინველის ხმა; არსად არ მოიპოვებოდა ერთი მცირე ბალახი; ან ლერწამი რაჲმე, თითქოს რომელიმე ცხოველის დასაცინავად,

იორდანის მდინარისაგან გარიყული ხეები, უცნაურად მდებარენი, შტოებ გამხმარნი მზის სიცხოვლისაგან, აქა-იქა, როგორც გამხმარი კაცის ძვლები.

ჩუჱნ გავემართენით იორდანის მდინარისაკენ, რომელიცა ჩამოუდიოდა ამ უდაბურს ვრცელს უნაყოფო მინდორსა. ეს მინდორი ჯერ სწორედ მეჩვენა ꠴ რამდენიც მივდიოდით, იმდენი ვხედავდი რომ უცნაურად ჩახრამულები ꠴ ხევ-ხუები იყო. მეტი გზა არ იყო, უნდა გვევლო წუნარა ꠴ სიბრთხილით, ამ მინდორზედ უგზო უკლოდ. ბოლოს დავადექით რაღაცა გზის მგზავსა, რომელიცა მიდიოდა მდინარე იორდანისაკენ. როდესაც მივედით მდინარის კიდეზედ, ვნახე რომ ეს გზა, მდინარის გაღმა მხრივათაც მიდიოდა. წვიმების გამო გასვლა არ შეიძლებოდა, მეტადრე საპალნიან ცხენებისათჳს. ვიფიქრე, იქნება იმ შესართავში შევიძლო გასვლა, სადაცა მდინარე იორდანე ერევა მკუდარ ზღუაშია მეთქი ꠴ ამ ფიქრით გავემართე იმ მხრისაკენ. ამ სიარულში, ხევ-ხუებში, ქვიშიან ალაგს დავიღამდა. მეტი გზა არ იყო, ერთის ხევის თავზედ ჩამოვხდით, მაგრამ რას იტყვით, არსად არ იყო ფიჩხი, გინა შეშვი, ꠴ არა თუ ფიჩხი ꠴ შეშვი, ერთი ღერო გამხმარი ბალახიც კი არსად არ მოიპოვებოდა. სანახაობა იყო საშინელი. ცხენები გუვანდნენ მშიერ მწყურვალი ꠴ ჩუჱნ არაფრისთანა საჭმელი არა გვქონდა რა ერთი ნაჭერი გამხმარი ყველის მეტი. უცეცხლოში უნდა ვყოფილიყავით იმ ღამეს ꠴ ამ მაღლობ ალაგს გვიბერავდა ცივი ქარი.

დილით, დამტვრეულ დაჩეხილნი რა წამოვდექით და გავწიეთ იორდანის მკუდარ ზღვაში შესართავისაკენ, იმ ფიქრით, რომ ვიპოვნიდით თხელს მელიანს ალაგს, რომელშიაც შესაძლებელი იქნებოდა გავსულიყავით. მაგრამ შესართავი ალაგი რომ დავიარე, შევშინდით მეტად, ისეთის სისწრაფით ერთობოდა ზღვასა და ისეთი ღრმა იყო. ორი იმედიღა გვქონდა დარჩომილი, ან უნდა ჰარომი გაგვეკეთებინა და ისე გავსულიყავით, ან არა და ისევე უნდა უკან დავბრუნებულიყავით, იორდანის თავს გავსულიყავით და გაგვევლო უკანვე იმ ძველს ხიდზედ, წყეულმა ნაზარეთელმა რომ შეგვაცდინა და გამოგვიყვანა. ჰარომს როგორც იქნებოდა კიდევ გავაერთებდით, მაგრამ ჯერ ერთი ესა რომ იარაღი არა გვქონდა რა, ამისათჳს რომ ხე არსად არ მოიპოებოდა და მეორე შიმშილისაგან ყუათი სრულებით გამოგველია. ჩემს მოსამსახურეებში ერთი ჩინებული ყოფაქცევის ბერძენი ერია, რომელსაცა ერქუა დიმიტრი; ამ განწირულებაში რომ მნახა, მრიელ შეწუხდა და მირჩევდა ნაზარეთელი წინამძღომელი ჩუჱნი მოგვეკლა, თუ რად გაგვიჭირა ასე საქმე. რასაკჳრველია ამ რჩევას არ მივიღებდი და ეს კი მოვახდინე, რომ ამის შემდგომს ნაზარეთელი განვაძიე და წინამძღომელობის ალაგი დაულოცე დიმიტრისა.

ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ავდექი და გაჯავრებულმა მკუდარ ზღვაში ვიბანე, მაგრამ ისეთი სუნი ჰქონდა, რომ დამაოსა და ცოტა გაწუდა გულს არ შემიწუხა. როდესაც გამოველი, მინამ ფეხს ხმელზედ გამოვდგამდი

მზის სიცხოვლემ კიდეც გამიშრო ტანი და ზედ ერთი თითის სითხე მარილი შეახმო; რის ყოფით და ანძით ეს მარილი მოვიშორე.

## IV.

შეწუხებულმა და დაღონებულმა ისევე იორდანის სამხრეთის მხრისაკენ გამოუხვიე. დიდ ხანს მოვდიოდით და რა ერთი ცოცხალი ცხოველი არსად შეგვხვედრია, ვფიქრობდი, რაც რამ ყოფილა, სრულებით გაურეკიათ აქედანა მეთქი. დასავლეთის მხრისაკენ მიმდინარეობდა იორდანე; აღმოსავლეთისაკენ არიგებული იყო უნაყოფო და ყოველს ქჳტენიერს მოკლებული გორაკები; სამხრეთისაკენ ვრმელი ზღვა, რომელსაცა ეწოდება მკჳდარი, სადაცა თავის დღეში არ მოხვედრია და არცა მოხვდება მებადური კაცი, ამ სიარულში, ამ უდაბურს ალაგს, წარმოიდგინე მკითხველო, როგორ განვიკვირვებდი, როდესაც რომ შემომესმა უცებ ვირის ყროყინი, ამ დროს ყველაზედ წინ მე მოვიდოდი, ცალ მხარეს მომდევდა დიმიტრი და მეორეს მხარეს ნაზარეთელი, რომელიცა მორიდებით მოდიოდა, თითქოს მიხვდა დიმიტრის მუქარასაო. ვირის ყროყინი რომ გავიგონე, იქითკენ გავწიე, ამისათჳს რომ, სადაც ვირი არის, იქ უეჭველია კაციც იქნება, ბოლოს მივადექი ერთს ხევსა და რა ჩაველი, დავინახე არაბების ბანაკი, დავინახე იმათი შავი

და დაბალი კარვები, რომლის გარშემო ირეოდნენ კაცე-
ბი, დედაკაცები, ყმაწვილები.

ჩემი მოსამსახურეები უკან დარჩნენ, მაგრამ იმ იმე-
დით რომ ჩუენის ცხენების კვალზედ მოგვაგნობდნენ,
მე სიხარულით და გაბედვით მივდიოდი კარვებისკენ. რო-
დესაც მიველი რომელიც ახლო კარავი იყო იქა, ვნახე
ფიჩხის გალავანი შემოევლოთ წინა. ოცი თუ ოც და
ათი კაცი, კარგად ყოჩაღები გამოცვივდნენ გარეთ ჩემს
მოსაგებებლად, ყველანი იყვნენ შავის კანისანი და ზოგნი
მიღრეჯილ-მოღრეჯილ სახისანი, ისინი ჩაცმულები
იყვნენ მხოლოდ პერანგებით, და სარტყლად ერტყად
ტყავი.

რა მივადექი ღობეს, ჩამოველი ცხენითგან. იმათში
რომელიც უფროსი იყო, ანუ ვთქჳათ მამასახლისი,
მოვიდა, ჴელი ჩამომართო, ჯერ მაკოცა და მერე თავი-
სი ჴელი შუბლზედ მიიდო, შემიყვანეს კარავში და მაში-
ნათვე დამსვეს ცხვრის ტყავზედა. კარავი იყო მოგრძო
და ვიწრო, იმდენი კაცი და დედაკაცები იყვნენ შიგა,
რომ ვიწროობისაგან ერთმანერთს ასხდნენ. მე ჩემს ალ-
აგს მაგრა ვიჯექი და მამასახლისი რაღასაც ნიშნებით
პატივის-ცემას მიცხადებდა. ამდენი ხალხი ირეოდა ჩემ
წინ, როგორც დედაკაცები, ისე ყმაწვილები, თავშიშვე-
ლა და ფეხშიშვლები, დედაკაცებმა მომიტანეს ნაღები და
რძე, რომელსაცა მივარდი, როგორც სამი დღის დამ-
შეული კაცი.

ერთი მინუტის შემდგომს ჩემი ამალაც მოვიდა.

საწყალი დიმიტრი, მე რომ მნახა ცხვრის ტყავზედ მოკეცილი, ისე გაჰკვირდა, რომ ერთის სიტყვის თქმაც ვეღარ შეიძლო, ის სრულებით დარწმუნებული იყო რომ, ღმერთმა მიგვცა საშინელს მტაცებელთ არაბების ჴელსა.

ნაზარეთელს ქისა სავსე ჰქონდა თამბაქოთი, ეს რომ შეიტყეს არაბებმა, მრთელი იმ ბანაკის არაბები შემოეხვივნენ გარსა და სტყუებდნენ ამ კეთილ-სურნელოვანს მცენარესა, იმათმა საზიზღარმა ქცევამ იმათზედ ეჭვში შემიყვანა. მე შევნიშნე, რომ თავიანთ სიზარმაცით, ასე ლატაკად იყვნენ, ამისათჳს, რომ კაცი ამისთანა ჰავაში იდგეს და თანბაქო არა ჰქონდეს, პირველი თანბაქოს ალაგია, ეს უდაბური ქვიშიანი ადგილი, მაშინვე მომივიდა ფიქრად, რომ ჩაუვარდი ჴელში მტაცებელთ პირუტყვთ, რომელთაცა მიეღოთ განათლება ჩემის ჩემოდენითგან, რა მალათი წამართმევდნენ რაც რამ შიგ ქაღალდები მქონდა. ამან უფრო დამაფიქრა, რომ არც პური გვითავაზეს და არც მარილი, ნიშანი სტუმართ მოყვარეობისა და მშვიდობიანობისა, მაგრამ როგორც მერე გამოჩნდა, თურმე პური სრულებით არა ჰქონდათ და პურის ნაცვლადა სჭამდნენ რაღაც ბალახსა. ეს ბალახი მეტი გზა არ იყო, მეც უნდა მეჭამა. იმ ბალახს ნოყიერება არა აქჳს, მბგრამ გემოიანი ბალახი კი არის, რადგანც სიმჟავე მოიპოვება შიგა, ისა ჰგავს მჟაუნა მცენარესა.

---

## V.

დიმიტრიმ დაუწყო ლაპარაკი ჩუენ სახლის პატრონს, თუ როგორ უნდა გავეყვანეთ მდინარე იორდანეში, მე ჩემს მთარგმნელს დიმიტრის საქმეში არ ვერეოდით ამ გვარ შემთხვევაში, რადგანც არაბული ენა არ ვიცოდი, ისიც რასაც უნდოდა ისე იცრუებდა, მაგრამ ყველას, ჩემი ერთგულებისათჳს, ლაპარაკში შევატყე, რომ იბრაღიმ ფაშას ხშირად ახსენებდა, ბოლოს შევიტყე რომ, თურმე იმათ ატყუებდა, ვითომც იბრაღიმ ფაშის დიდი მეგობარი ვიყავი მე და თუ ისინი კარგად მომექცეოდნენ, მაშინ იბრაღიმ ფაშა, იმათის თემის ბძანებელი, იმათ დიდს მფარველობას აღმოუჩენდა. რამდენიმე კვირის წინად, იბრაგიმ ფაში, გამოსულიყო თავისის ცხენოსან ჯარით იორდანეში და ამასობაში ამ უბედურს არაბებს წამოსწყდომოდა. ცხენოსან ჯარს, რაც აქლემები ჰყოლოდათ ამ არაბებს სულ ერთიან წაერთმიათ, ამასთანავე სხუა ქონებაცა, ერთის სიტყვით სრულებით აეკლოთ; ამას გარდა, გამოეყვანათ ეს მცხოვრებნი, და ათზედ ერთი დაეხრჩოთ. თქუენა გგონიათ მკითხველო, ამის გამო, როგორც შეწუხებული ხალხი, მე, ფაშის ტყვილ მეგობარს, პატივს ამერიდენ? სრულებით არა! ამ გვარ ქცევას, იმათში უფრო სიყუარული დაენერგა იბრაღიმ ფაშასი. აზიის ხალხის თჳსება ეს არის.

დიდი ხნის რჩევის შემდგომს, დათანახმდნენ არაბები, შეიდმეტი კარგა ყოჩაღი არაბი წამოგვყვა თანა. რამდენიმე მოხუცებული კაცებიც წამოჰყვნენ იმათ თანა, როგორც უფროსები, იმათი მამასახლისი ალი ჯეირანა, წინ მიუძღოდა. როდესაც ბანაკითგან გამოვდიოდით, იმათ გადაიხადეს პირველად საღმრთო წესი; მალმალე კელის მაღლა იშვერდნენ და ვინ იცის რას ანბობდნენ, ეს არაბები მაჭმადები არიან, მაგრამ სიმტკიცეზედ კი უკაცრაოდ ბმანდებიან.

ბოლოს მოვედით იორდანის კიდეზედ; წყალი იყო ჩქარი. არაბებმა იფიქრეს გაყვანა პარომით, უცებ ამოდენა არაბებმა შექნეს ყვირილი, უთანხმოება; თურმე ნუ იტყვით ეს რჩევა და უთანხმობა ჰქონდათ ჩემ გაცრცვნაზედ. ამასობაში გაიარა ორმა საათმა, მე რას შევიტყობდი იმათ ენას და არც დიმიტრის ესმოდა, ამისათჳს რომ ისინი არაბულათ კი არა ლაპარაკობდნენ, ისინი ლაპარაკობდნენ თავიანთ მთის ხალხის ენაზედ.

ამ ყაყანის დროს ვიჯექი მე, ბარგთანა. შიმშილისაგან ისე შეწუხებული ვიყავი, რომ იმათი დარდი არა მქონდა. ამ დროს ფიქრად მომივიდა, გამეწმინდა ჩემი ექვს ლულიანი რეოლიერი, დაუწყე რა წმენდა, ხან ჩახმახს ვაცემინებდი, ხან მაღლა ფეხზედ შევაყენებდი.—ამ ჩემა დამბაჩის წმენდამ, იმათი ყაყანი როგორღაც დააცხრო, იბრაჰიმ ფაშას ეს სიკეთე ექნა ჩემთჳს, რომ რაც ამ არაბებს თოფიარაღი ჰქონდათ სრულებით წაერთმივა, მაშასადამე, ცარიელის კელით ჩუჱნ ესენი

ვერას დაგვაკლებდნენ.

დიმიტრიმა აღუთქუა იმათ, თუ მშვიდობით გადაიყვანთ იორდანეში ამათ და ჰატივისცემით მოექცევით, მაშინ ვთხოვ მოგცეთ (ტესკერი) მოწმობა ანუ ატტესტატი, თქუენ კეთილ ქცევაზედაო, ისეთი ატტესტატი, რომ იბრაჰიმ ფაშას აჩვენოთ, დიდი მწყალობელი შეიქნება თქუენიო და ამას გარდა ფულით საჩუქარსაც გაგირიგებთო.—ეს ამათ იამათ და ფულის საჩუქარს იმდენი ყურადღება არ მისცეს, რა ყურადღებაც მისცეს ტესკერის, ესე იგი ატტესტატს. ამ ატტესტატმა ყოველი ბოროტი იმათი ფიქრი დასთრგუნვა.

რჩევა დაიშალა და არაბები მოვიდნენ ჩემთან, რომელსაცა მკოცნიდნენ, ზოგნი ჴელზედ, ზოგნი ფეხზედ და ზოგნი სადა.

ამის შემდგომს შეუდგნენ საქმესა: მოიტანეს ტიკები, რომლითაც ეზიდებოდნენ შინისათჳს წყალსა, დაბერეს, გადააბეს ერთმანერთი და შეადგინეს ამ გვარად ტივი, ამაზედ დააწყვეს ჩემი ბარგი ბარხანა და შეიტანეს სიბრთხილით წყალში. თორმეტი არაბი გაშიშვლდა და წელზედ შემოირტყეს რა გაბერილი ტიკები, მიუძღოდნენ წინ ცურვით; ამ სახით ექუსი არაბიც ცურვით უკან ტივს ჴელით მიაცურებდა. ამოდენა არაბებს ჰქონდათ ერთი ყვირილი, ჯერ ეს ტივი წყნარა მიცურავდა წყალში, ამისათჳს რომ საშიშს ალაგს ჯერ არ მისულიყო.

მოხუცებულები, გრძელი თეთრ წვეროსნები, რომელ-

ნიცა იდგნენ ჩემს ახლოს, ევიროდნენ აგრეთვე, უბძანე-ბდნენ მცურავებს, ამხნევებდნენ, ბოლოს მივიდა საშიშს ალაგსა, აქ შექნა ტოკა ტივმა, მიღრიჯა-მოღრიჯა, აქედან მოხუცებული არაბები კელს უქნევდნენ, უყვიროდნენ და რომ უფრო გაემხნევებინათ მცურავები, ახსენებდნენ იბრაღიმ ფაშასა; რა გადარჩა საშიშს ალაგს, გაიტანეს მერე მშვიდობით.

უკან დააბრუნეს ტივი, დანარჩენი ბარგიც ამავე სახით გაიტანეს. მინამ დაღამდებოდა სულ ერთიან გაგვიყვანეს გაღმა. მეორე დღეს დაუწერე ატტესტატი ამ არაბებს და მივეცი საჩუქარი ალიჯერიანსა, იმათ მამასახლისსა.

ორი თუ სამი დღის მგზავრობის შემდგომს მივედით რინიაში, რომელიცა როგორც ისტორიკები გვარწმუნებენ, აღშენებულია ნაცვლად ძველის იერიხონისა.

მზის ჩასვლისას მიველით წმინდა საბას მონასტერში, სადაცა იმ ღამეს დავდექით.—

---

(ზოგი შემდგომში იქნება.)

# ვარანცოვის ძეგლსა.

კნ. ეკატერინე ერისთავის ლექსებითგან.

---

კავკაზის ერნი აღუმართვენ აქ სასსოვარსა,
კაცსა ჩინებულს თჳსებითა სწორ უპოვარსა;
მშვიდსა, მდაბალსა, მართლ მსაჯულსა, უხვს ლმობიერსა,
დაჩაგრულთ მფარველს, მოწყალესა და სახიერსა.—

ამან დაბეჭდა მრავალთ გულზედ ღრმად სიყუარული,
და თჳსის მოსვლით მიმოჰფინა აქ სიხარული,
მრავლის კეთილით მოიზიდა, ვინც ქართველთ გული,
თჳთ ის გვექნება საკელობით გულს დასახული.

მისნი ნაშრომნიც ამტკიცებენ მისსა დიდებას,
რომლის აღწერით ველარ დავტევთ თჳთოეულს ქებას,
მხოლოდ ვსთქუათ მარტო ვითა ერნი ჰყვა შეტკბობილნი,
მისს განშორებას ესრედ სწუხდნენ ვით ნამდვილ შვილნი.

მიხედეთ ძეგლსა ნაცვლად მისსა აღმართებულსა,
ილმეთ, აჩვენეთ ერთგულება განსვენებულსა,
ჩუენს კეთილ მოქმედს ესე გრძნობა ცრემლით შევფიცოთ,
მის მამობრივი სიყუარული მით დაუმტკიცოთ,

ვარ ამ საჩინოს კაცის ღვაწლთა აწ მომთხრობელი,
ნიჭ სავსე სრული, მაღალ მხედი იყო რომელი,
ცოტას მლივს აღუწერ ურიცხვისა საქმის მხსომელი,
ვინც სასარგებლოდ ჩჳენის ქჳეყნის იყო მშრომელი,

განგებას მოწმად კეთილობის მეც აქ მოვყევარ,
ვინც ჰალდებული მარად ლოცვის აწ მეგლთან ვდგევარ,
მისგან სიკჳდილით გამოხსნილსა მსურს მის მოხვევა,
და სახსოვარის მადლობისა ზედ ცრემლთა ფრქვევა.

---

მუზნო მომართეთ მომეახლენით,
მალი თხრობისა ყურს შთამბერენით,
გულისა გრძნობა გამოვსთქჳა ენით,
მოჰფრინდით ღრუბლით, მომეხმარენით!

მსურის აღვწერდე მე იმა ადგილთ,
სად განგებისგან ვსჭვრეტ წარმოდგენილთ,
მისთჳს რომ ზრდიდნენ ესრეთთა ყვავილთ,
სხჳათა მხარეთა იშვითად პოვილთ.

საგანნი ჩემნი მუნა მხატრობენ,
ორთ გვართ დიდება სადაც მკვიდრობენ,
სად მისაზიდად აწცა შლილობენ,
და სად მას მეგლნი აწცა გვითხრობენ.

თჳთ ცაც ლაჟვარდი სამხრეთის მხარეს,
არს აღმომჩენი ესრეთის მთვარის,
მსგავსი კამკამით მზისა ელვარის,
განმასხვაებელ შუქით ამ არის.

თითქოს აწ ვუმზერ მე იმა სახეს,
ნამდვილ უმანკოს სულისა სარკეს,
სატრფოს, მშჳჱნიერს ეშხითა სავსეს,
და საროს მსგავსსა წყლის სინაზეს.

თითქოს ვჭვრეტ უცხოს იმ კაბით მორთულს,
და ოქრო ქსოვილს თავზე მოხვეულს,
მსგავსებ ანგელოსს ღრუბლითა მოსულს,
სათნოებისთჳს ჴელ გვირგვინ დადგმულს.

ყოველსა მაღალს აღბეჭდილობას,
შთამამავლობას, დიდებულებას,
ვსჭვრეტ შენში ამა ნიჭიერებას,
და მივეცემი მხიარულებას.

შრომა ეს მცირე შენის მახლობლის,
მიიღე ნიშნად ამ მგრძნობელობის,
მაქვნდა სურვილი შენისა მკობის,
მაგრამ არა მაქვს აწ დრო განგრძობის.

9-ს იუნისს.
1859 წელსა.
ქ. გორი.

# ლ უ კ ი ა ნ ე.

(მოთხრობა.)

ქუეყანა ანბობს და ან რა საჭირო არის თქუან, როდესაც რომ ყველამ იცის, ვინც კი მწიგნობრობას მისდევს, რომ მოთხრობა იწერება ხალხის ცხოვრებითგან.—მხოლოდ ეს არის ძნელი, რომ ისე კაფიეთად ვერ გამოიტანს მწერალი, ხალხის ხასიეთებს, როგორც საჭირო არის კარგის მოთხრობისათჳს; ამისათჳს რომ, ბევრი იმ გვარი ნაკლულევანება არის, რომლის გამოაშკარება შეუძლებელია „მიზეზებისა გამო სხვისა და სხვისა“ რომ მწერალმა როგორმე მოახერხოს, და ზოგი ერთნი პირნი კეთილკაცობით სავსენი, თავის მოთხრობით საქუეყნოდ გამოიყვანოს, ის მოიგონებს ან უცხო ქუეყანას, სადაც ანბავი მომხდარა, ან ცრუ სახელებს, რომ ეგები ამითი მაინც ნება ჰქონდეს იმის კალამს; ამ მიზეზით არის, ზოგჯერ მწერალი რომ კისრულობს შეუსაბამო წოდებას.—ამ გვარად ჩუენი „ლუკიანე“

არის დაწერილი, ამ მოთხრობაში, თუმცა იქნება ფანტასიად ეჩვენოს მკითხველს, მაგრამ სრულ სიმართლესა ჰპოვებს,—მაშ აბა შეუდგეთ ამ ჩუენს მოთხრობას, ნამდვილად მომხდარს და დავიწყოთ იმ იმედით, რომ ქართუელნი მკითხველნი ყურს მომიპყრობენ გულს-მოდგინებით:

სწორე მოგახსენოთ მე უგუნური, ანუ ცხადათა ვთქუათ სულელი კაცი არა ვარ, უნდა გამოტყესით მოგახსენოთ, რომ მე მისწავლია ათინაში,—აბა კარგად იფიქრე ჩემო მკითხველო, ეს დიდი საქმე არის თუ არა? მე იქ ვისწავლე ყოველის ფერი, რაც კი რამ სამეცნიერო წიგნები არის და ვმადლობ იუპიტერსა, ახლა შევიქენი გამოჩენილი კაცი ჩემგნით გამოცემულის თხზულების გამო. თქუენ თუ არ მიცნობთ, ეგ ჩემი ბრალი არ არის, ამისათჳს რომ თქუენ მაგდენს არას კითხულობთ ჩუენს ენაზედ დაწერილსა; რომ გეკითხნათ, შეიტყობდით, რომ მე ლუკას (ჩემი საკელი ეს გახლავთ, გვარს კი არ მოგახსენებთ) დამიწერია ფილოსოფია, ისტორია ძველის ხალხებისა, ენების შთამომავლობა, მე გახლავართ ბატონო თუ უკეთ მოიხსენიებთ, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, რიტორი და გრამმატიკოსი. სხუა რაღა გინდათ! გარწმუნებთ, სხუაზედ ნაკლები მე არა ვარ. ამაოდ მირწმუნება, ჩემში, როგორც მსწავლულს კაცში, სრულებით არ მოიპოვება, მაგრამ, აი როგორი დაუჯერებელი შემთხვევა მომეცა ჩემს ფილოსოფიურს ცხოვრებაში.

ამ დაუჯერებლის შემთხვევისათჳს, რომ არა მყო-ლოდა ექჳსი ათასი მოწამე, ვერ გავბედავდი გამომეაშ-კარებინა.

მე ვმოგზაურობდი ფესალიაში, ჩემი შინაური სა-ქმეებისა გამო; ერთი ცხენი მეც მატარებდა ჲ მრთელს ჩემს ბარგიბარხანასაცა, გზაზედ შემხვდნენ რამდენიმე მგზავრები, რომელნიცა დაბრუნებულიყვნენ იპატის ქჳჱ-ყანაში, სადაურებიც იყვნენ. გზაზედ ამ მგზავრებს გა-უამხანაგდი ჲ სმა ჲ ჭამაც ერთადა გვქონდა; მხიარუ-ლად მივდიოდით იპატისაკენ იმ ჯოჯოხეთის გზით, რთმელიცა მდებარეობს მშჳჱნიერს ცეზარების სამეფოში.

როდესაც მიუახლოვდით ქალაქსა, ჩემს ამხანაგ მგზავრებსა ვკითხე, ხომ არ იცნობთ იპატაში მცხოვ-რებს მოქალაქეს იპარხსა მეთქი. ამასთანავე ესეც უთ-ხარი, რომ მქონდა იმასთან წიგნი, რომელიცა მე თი-თონ პირის-პირ უნდა მიმეცა. სწორე მოგახსენოთ, იმა-სთან ჩამოხდომაც მინდოდა.—

—იპარხსას ვინ არ იცნობს,— მომიგეს იმათ. აგერ იმისი სახლი, რამწავს შესვალ ქალაქში, იქავე შესავა-ლში. იპარხი, მრიელ მდიდარი კაცია, მაგრამ მეტის-მეტად მუნწი. სახლში რაც კი რამ თქჳა, ყოვლის ფერი აქჳს, მაგრამ მარტო ცოლქმარნი სცხოვრებენ ჲ ერთიც გოგო ჰყავთ. ასე სცხოვრებენ, როგორც მგლები. იმათ-ზედ ქალაქში ბევრს ცუდს ლაპარაკობენ, მრიელ საში-შნი ხალხნი არიან ისინი!

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, მიუახლოვდით კიდეც

ერთს პატარას სახლსა, რომელსაცა ჰქონდა ბაღჩაცა. აქ იდგა იპარხი. გამოვეთხოვე ჩემს ამხანაგ მგზავრებს და გავშორდით ერთმანერთსა. ისინი შევიდნენ ქალაქში, მე შეუხვიე იმ სახლსა.

დავარახუნე რაც მალი და ღონე მქონდა კარი. დიდს ხანს ვიდექი, კარზედ არავინ გამომხედა, ბოლოს გამოვიდა ერთი ახალგაზდა გოგო.

—შინა ბძანდება იპარხი? ვკითხე მე.

—შინ არის, მომიგო იმან,—შენ ვინა ხარ? რა გინდა?

—წიგნი მაქუს იმასთან პატრასის ქალაქითგან, ჩემის ძმისაგან, სოფისტის დეკრიანესაგან.

—მოითმინე აქ ცოტა ხანს, მითხრა იმან, უცებ შეტრიალდა და კარები მომიკეტა.

რამდენიმე მინუტის შემდგომს გოგო გამოვიდა ისევე და შემიყვანა შინა. როდესაც ვნახე იპარხი, მივეცი წიგნი. ეს ისე მოხდა, რომ სწორეთ ვახშმის დრო იყო, როდესაც შეველი, ვახშამზედ, თავიანთ ქუეყნის ჩვეულებით, იპარხი კი არ იჯდა, იწვა და ისე სჭამდა პურსა, ცოლი საკმაოდ მშუენიერი ქალი, ოც და ხუთის თუ ექვსის წლისა, მხარბეჭიანი, როგორც არიან ბერძნის ქალები, დიდრონი შავ თვალ წარბა, იწვა აგრეთვე ქმრის გვერდით, წინ გაშლილი იყო სუფრა, რომელზედაც არაფერი ეწყო ჯერა. როდესაც იპარხიმ წაიკითხა წიგნი, სთქუა მედიდურად:

—დეკრიანე მიმაჩნია ელინებში უპირველეს ღირ-

სეულ კაცად. ჩემთჳს ძრიელ სასიამოვნო არის, რომ ჩემთჳს მოუნდვია თავისი ძმა. აი ჩემი სახლი, ლუკავ; რასაც ხედავ ეს არის; მართალია პატარაა, მაგრამ კეთილის სტუმრებისათჳს, ყოველთჳს მოიპოვება აქ კუთხე. თუ რომ აგრეთს წყალობას გვიზამ დ~ ინებებ ჩუჱნთან დადგომას, შენის აქ ყოფნით სახლს სიდიდე მოემატება.

ამის შემდგომს დაუძახა გოგოს.

—პალესტრა! მოუმზადე ცალკე ოთახი ჩუჱნს სტუმარს; შეიტანე იქ, რაც რამ ბარგი აქუს დ~ ესეც მიაცილე აბანოში, დიდი გზა გამოუვლია.

იპარხიმ ეს რომ უბძანა, პალესტრამ წამიყვანა დ~ შემიყვანა ერთს სუფთა ოთახში.

—აი თქუჱნი საწოლი! აქ მოსვენებით იქნებით, არ ინებებთ ჯერ აბანოში წამობძანებას?

მე მივეცი პალესტრას რამდენიმე მანეთი, რომ ჩემის ცხენისათჳს ქერი ეყიდნა. როდესაც აბანოს კარებთან მიმიყვანა, თითონ დაბრუნდა ჩემ ოთახის დასალაგებლად.

აბანოთგან, პირ დ~ პირ შეველი იქ, სადაცა ისხდნენ ვახშამზედ. იპარხიმ მომცა ხელი დ~ მეც გვერდით დამიწვინა. ტახტი, რომელზედაც ვისხედით, ძრიელ ვიწრო იყო დ~ ამასთანავე ტოკავდა, სიძველისა გამო, ასე რომ, თეფშთან ხელი მიმქონდა, მეშინოდა, არ ჩაწოლილიყო. ჩემი მდგომარეობა ამითი უფრო საშიში იყო, რომ როდესაც შევხედავდი იპარხის-ცოლს, ტანში ჟრუანტელს

შეველიდა. საჭმელი გვქონდა ჩინებული, ღვინო ძრიელ კარგი დ ამასთანავე მეელი, ვახშმის შემდგომს, როგორც იქ ჩუეულებათა აქუსთ, ვსვამდით ღვინოს დ ვსაუბრობდით, ისეთი ჭურადობა გამოიჩინა იმ ღამეს რომ, დაუწყე გმობა, ჩემს მგზავრ ამხანაგებს, თუ რათ აძაგეს ამისთანა სტუმრის მოყვარე კაცი. როგორც იპარხიმ, ისე იმის ცოლმა ქილოკლეიმ დიდი სიამოვნება მაჩვენეს იმ ღამეს.

მეორეს დღეს მკითხა იპარხიმ, თუ საით მივდიოდი, ან რამდენს ხანს უნდა დავრჩომილიყავ ქალაქში. მე უთხარი,— რომ მივდივარ ლარის ქალაქში დ ხუთ დღემდინ აქ დავრჩები მეთქი. როგორც ფილოსოფოს, ჩემ სიცოცხლეში სიცრუე არ მითქომს, მაგრამ ახლა სიცრუე ვთქვი. ხუთი დღე კი არ მინდოდა, ერთს თვეს მაინც უნდა დავრჩომილიყავი იქა, რომ მენახა, იქაური მისნები დ ჯადოქრები რა გვლოვნებიც იყვნენ; ჩემის თვალით მსურდა მენახა, თუ როგორ გადაიქცევიან ხოლმე იპატელები, ან მგლად, ან კატად დ ან როგორ ფრინამენ, ფრინვლათ რომ გადაიქცევიან. მე ესენი, როგორც ფილოსოფოს, ისტორიკოზს, რიტორს დ გრამმატიკოზს, არა მრწამდა, დ ამისათჳს გავწიე ქუჩებისაკენ ქალაქის გასასინჯავათ. იმ დღეს თითქმის მრთელი დღე ვიარე დ მრთელს ქალაქში არც ერთი ჯადოქრობის კვალი არ შემინიშნავს: ვისთჳს მეკითხნა, რომ შემეტყო რამე როგორც მსწავლულს მოგზაურს, არც ეს ვიცოდი. სწორე

მოგახსენოთ, მრცხვენოდა კიდეც მეკითხნა ვისთჳსმე. მეორეს დღეს, ჩვეულებისამებრ რომ ვსეირნობდი ქუჩე-ბში, შემხვდა ერთი დარბაისელი დედაკაცი, სჩანდა, რომ ის დედაკაცი პირველის ოჯახის სახლს ეკუთვნოდა. მორთულობა ჰქონდა დიდებული, თვალმარგალიტი ესხა მრავალი; უკან მოზდევდნენ რამდენიმე მოსამსახურენი. როდესაც დაუახლოვდით, დამიწყო ყურადღებით სინჯვა, თითქოს მცნობი ვარ იმისიო; ეს რომ ვნახე, თავი დაუკარი.

—შენა ხარ ლუკა?

—გეფიცები ვენერას, მშუჴნიერო ქალო, რომ სწო-რეთ მიხვდი! უთხარი მე.

—შენ არ მიცნობ მე? მკითხა იმან. მე მქვიან აგ-ბრეია. შეუძლებელია ჩემი სახელი არ გაგეგონოს! მე დე-დიშენის მეგობარი ვარ, რატომ ჩემთან არ დადექი, ჩემო საყუარელო შვილო, მინამ აქ იყავი?

—დიდად გმადლობ ჩემო ბატონო. ახლაც შემეძლო, გხლებოდი თქუჴნთან, მაგრამ მრცხვენიან, უმიზეზოთ გადმოვიდე იმ კაცის სახლითგან, რომელმაცა პატივით მიმიღო და ცდილობს ჩემს სიამოვნებასა. მაინც და მაინც ჩემო ბატონო, დღეის შემდგომს ჩემი გული, თქუჴნს სახლში იქნება სტუმრათა.

—სადა დგეხარ? მკითხა იმან.

—იპარხისთან.

—იმ უმზგავსო მუნწ კაცთან?

—შეუდარებელო დედავ, თქუჴნა სცდებით. ისეთი

სტუმართ მოყვარეობა გამოიჩინა ჩემთან, რომ მეტი არ შეიძლება. თქუჱნ აგრე მიბმანებთ, და მე ასე მგონია, რომ მეტი კელგაშლილი კაცი ყოფილა.

უმცნობმა დედაკაცმა გაიღიმა, გამომართო კელი და რა გამიყენა განზედ, მითხრა მეგობრულად:

—გახსოვდეს ჩემო მეგობარო, ერიდე იმარხის ცოლ-სა! ის საშინელი დედაკაცია. იმის ბოროტებას, ბოლო არა აქუს. ამ ქალაქში, პირველი ჯადოქარია! მრთელს საპერმნეთში და ფესალიაში.... ისეთი ქარიანია, რომ თქმაც არ შეიძლება. ყოველს ყმაწვილს კაცს თვალს უშვრება და ვაი იმისი ბრალი, ვინც პასუხს არ მისცემს! მაშინ თავის თავს აცნობებს! თავის თვალთმაქცობით ბევრი კაცი პირუტყვათ გადაუქცევია; ზოგნი დაუხოც-ნია... როგორ?.. ამისი კი არავინ არა იცისრა, შენ ჩემო შვილო, ყმაწვილი ხარ და ლამაზი; არ შეიძლება, რომ რამწავს დაგინახა, არ მოსწონებოდი. აქ უცხო ქუჱყანაში ხარ: ვინ იზრუნებს შენთჳს?

ვაი შენ ჩემო თავო! მაშ ასე ყოფილა საქმე! რასაც ვეძებდი, რაზედაც ვფიქრობდი, ის ანბავები ყოფილა ჩემს სადგომში!.. სახარულისაგან ვეღარა გავიგერა, თუ რას მეტყოდა ამბრეი და გამოვიქეცი შინ.

ახლა, დაყოვნება აღარ შეიძლება, უნდა შევიტყო ეს საკჳრველი მისნობა; უნდა დავრწმუნებულიყავი, ჩემის საკუთარის თვალით, რასაც ლაპარაკობდნენ და მესმოდა, მართალი იყო თუ არა? მაგრამ ისე უნდა მოვქცეულიყავი რომ ჩემი განზრახვა არავის შეეტყო. რადგანაც

ყველა სახლის საიდუმლოება, შინა მოსამსახურემ იცის, ამისათჳს მე ვიფიქრე, გამომეკითხა დაწვრილებით, პალესტრასაგან; რომ უკეთ შემესრულებინა ჩემი განზრახვა, მეტი გზა არ იყო, უნდა დამეწყო აშიკობა. მერე უნდა მოგახსენოთ, ლამაზიც იყო. თუმცა რასაკჳრველია, ჩემის წოდებისათჳს, როგორც ფილოსოფოსისა, ისტორიკოსისა, რიტორისა ꝺ გრამატიკოსისათჳს დიდი სირცხვილი იყო, მაგრამ რა მექნა, სხჳა ღონე რომ არა მქონდა. მსწავლულმა, ჴსწავლის შესამსებად, ყოველა უნდა იკისროს.

ამ ფიქრებში ვიყავი, შინ რომ მოვედი, ვნახე სახლში არ იყვნენ არც იპარხი ꝺ არც იმისი ცოლი ფილოკლეი. მარტო პალესტრა დამხვდა სამზარეულოში, სადაცა საჭმელს აკეთებდა. რასაკჳრველია კარგი შემთხვევა იყო ეს ჩემთჳს ꝺ დაუწყე სიყუარულის გამოცხადება.

—რა მშუენიერი სანახავი ხარ პალესტრა, ახლა, ამ დროში, როდესაც რომ აგრე ხერხიანად ꝺ სისუფთავით აკეთებ საჭმელებს. უნდა იცოდე თუ რასა ვგრძნობ ახლა, შენთან რომ ვარ ასე მგონია ოლიმპის მთაზედა ვარ მეთქი. ოჰ, რა მშუენიერება იქნებოდა ჩემთჳს, რომ თითითაც არი შემოგეხო; შემოვეხო შენს დაბროწილს ლოყებს.—

—აბა ერთი სცადე!.. მაშინ ნახავ თუ რა ხერხიანად ვაკეთებ საჭმელებსა!... შემომეხე, ერთ-ერთი ქვაბი, მაშინვე შიგ შუბლში გეცემა!

—უჰ, რა კაპასი ყოფილხარ! ნუ მიყურებ აგრე გაჯავრებით მშვენიერო პალესტრა!. ღმერთებს შენ აფთრად არ დაუბადებიხართ. ყოვლად-შემძლებელს ვენერას ყოველი კეთილი მოუცია შენთჳს. ნუ თუ ბოროტად მოიხმარებ იმისაგან მოცემულს კეთილს, იმის სარწმუნო შვილზედ?

—მე მგონია მოწყალეო ჴელმწიფევ, შენ როგორღაც ღმერთების წინააღმდეგი ხარ?.. შენ დასცინი იმათ!

—თავის დღეში საყუ̂არელო პალესტრა, მე ღმერთები მრწამს, თუ გინდა ამას დაგიმტკიცებ?.. მე ვნახე თქუ̂ენს ბაღჩაში, გამოქანდაკებული სპილენძისაგან, ღმერთა კუპიდონი. წავიდეთ პალესტრა, მივართვათ იმას მე დ შენ ერთად მსხვერპლი! აი, თუნდა ეგ მომწვარი ვარია.

—მომწვარი ვარია, საღმრთოდ მიუტანოთ კუპიდონს?... არა, სად გაგონილა, მიართვან საღმრთოდ მომწვარი ვარია, უკვდავს ღმერთა კუპიდონს? შენ ფილოსოფოსი ხარ გეტყობა, უღმრთოვ, ურიავ!.. როგორ არ გეშინიან ხუმრობ იმ დიდ ღმერთაზედ, რომელსაცა ჩემი ქალბატონი ყოველ დილით თაყვანსა სცემს დიდის მოწიწებით?... მოიცა. ნახამ შენ, თუ როგორ დავსჯი! წადი აქედან, წადი ჩქარა, გაიქეცი აქედან, მინამ გონება არ დაგიკარგავს. თუ სიცოცხლე გინდა ჩქარა გაიქეცი. ხომ მხედავ, როგორ მთელი სხეული ჩემი, ცეცხლის ალით არის მოცული, თუ ახლო მომეკარები, კუპიდონი ამასა იქს, რომ სრულებით დაიწვები დ ვე-

ღარც მომშორდები. მაშინ ვეღარავინ ვერ მოგარჩენს,— ვერც თუ ესკულაპი! მარტო მევე გეყოფი რომ აგრე ცოცხლად დაგწო. საშინელს მტკივნეულებას გაგიჩენ და რამდენიც მოისურვებ განთავისუფლებასა, იმდენი მტკივნეულება უფრო და უფრო მოგემატება, რამდენსაც მოშორებას მოინდომებ ჩემგან, იმდენი უფრო ახლო მოგეკვრები; რამდენსაც ქუას გესვრი, ვერც ერთი ვერ აგცილდება! რა საჭირო არის დაცინება; კუპიდონი ყოვლის შემძლებელია! იქნება კიდეც იმან ამამირჩია, რომ გადაგიხადო იმისი შეურაცხება!.. გეშინოდეს!... ვისაცა მხედავ, ისეთი ხელოვანია, რომ შენისთანა კაცისაგან, ათას ფერს საქმეს გააკეთებს! ერთს ნაირს საქმეს კი არ ვაკეთებ, ჩემზედ უკეთესად მრთელს საბერძნეთში კაცს ვერავინ დაჰკლავს. შემიძლიან გავხადო ტყავი, დაგჭრა წვრილ ნაჭრებადა, გაუჭრა გული და მოვხრაკო ერბოში... აი, თითონ ამ ბუხარში!...

—ახ! პალესტრა, მაგას მართალს ამბობ! იუპიტერის მოწამე რომ, თუმცა ახლო არ მომკარებიხარ, მაგრამ შორიითგანვე დამწვა შენმა მშვენიერებამ, უხილავად ისეთი ალი მამხვდა შენგან, რომ შემივარდა თვალებში, ჩამივარდა გულში და მწვავს. კუპიდონს და ვენერას გაფიცებ, მომარჩინე, იმ წამლით, რომელიცა ტკბილიც არის და მწარეცა!.. აჰ, ნუღარ გადასდებ ხვალისათჳს, დამკალი, გამხადე ტყავი, თუ რომ გსიამოვნება...

პალესტრამ გაიკასკასა, მაგრამ ამ სიცილში ბევრი სინაზე იყო.

—ხომ ხედავ უფალო ფილოსოფოსო, კუპიდონთან ხუმრობა არას გარგებს!.. საკვრველი გადამხდელი ღმერთია!

უცებ მივარდი ამ დროს და ვაკოცე ვარდის ფერ ტუჩებში.

—ეს რა ანბავია? დაიყვირა იმან, ვითომ და სიმუ-ლილით

—იმ კუპიდონმა, რომელიცა გადაუხდის კაცს, სა-ყუარელო პალესტრა, კელი მკრა უკანითგან ისე ძლი-ერად, რომ უგონოდ გამოვფრინდი შენკენ.

ამ დროთგან შევიქენით საყუარლები.

—პალესტრა! საყუარელო მეგობარო! უთხარი მე. მომეცი შემთხვევა ვნახო შენი ქალბატონი იმ დროს, როდესაც ჯადოქრობით გადაიქცევა ხოლმე პირუტყვათ. დიდი ხანია მსურს ეს საკვრველება ვნახო, და თუ შენ თითონ იცი რამ ამ გვარი, ჩემ თვალწინ გადაიქეცი რამ პირუტყვად. შენ გამოცდილი ხარ ამ საქმეში, ბევ-რისგან შემიტყვია ესა, თორემ თუ ეს ასე არა ყოფი-ლიყო, როგორ მიიზიდა, შენის მისნობით ჩემი გული, მაშინ როდესაც რომ ჩემ სიცოცხლეში არავინ მყვარებია.

—კარგია შენ ეშმაკო! მითხრა იმან. რა მისნობა უნდა სიყუარულსა? კუპიდონის ნება როდესაც არის, სიყუარულიც მაშინ იბადება! რაც მე შემეხება, მისნო-ბისა სრულებით არა გამეგებარა, გეფიცები ჩემ თავსა და ვფიცავ შენს ბედნიერებას, რომ მე სრულებით არა ვიცირა! ჩემი ქალბატონი მრიელ ეშვიანი არის თავის

ჴელოვნებაში. და რამწავს მომეცემა შემთხვევა, ყოვლის ღონის-ძიებით ვეცდები, გიჩვენო, როგორც გადაიქცევა ხოლმე სხუა გვარ ცხოველად.

გაიარა რამდენმამე დღემ.

ერთხელ პალესტრა შემოვიდა ჩემს ოთახში და მითხრა, რომ ამაღამ ჩემი ქალბატონი უნდა გადაიქცეს ფრინველათა და გაფრინდეს ერთ-ერთ თავის საყუარელთანაო.

—საყუარელო პალესტრა! ამაზედ უკეთესი შემთხვევა არ მექნება, და გთხოვ მაჩვენო როგორმე.

—უეჭველად ვეცდები.

როდესაც დაღამდა, ის მოვარდა ჩემთან და მიმიყვანა იმ ოთახთან, სადაცა იძინებდა იმისი ქალბატონი. აქ მაჩვენა ერთი ჯუჯრუტანა, კარების ფიცარში, საიდამაც დაუწყე ყურება.

უყურებ, ეს ჩუენი უფალა სახლის პატრონის ცოლი ფილოკლეი, იხდის ტანისამოსსა, როცა გაიხადა, მივიდა ანთებულ ლამპასთან, და ზედ დაწვა ორი რაღაცა მარცვალი ხორბლის ოდენი. აქ იდგა რამდენიმე ხანი და რაღასაც ბუტბუტებდა. მერე გააღო დიდი ზანდუკი, სადაც ეწყო მრავალთ-უმრავლესნი წამლის შუშები, საიდამაც ამოარჩივა ერთი.

ამ შუშაში იდგა რაღაცა ზეთის მგზავსი ნივთიერება. ფილოკლეიმ გადმოისხა ჴელზედ და წაისვა ეს ზეთი მრთელს ტანზედ: უცებ, ვნახოთ რომ, ტანს ბუნბული შეესხა, ჩემ თვალთ წინ, ცხვირი გადაექცა ნის-

გარტათ, ერთის სიტყვით შეიქნა ბუ, რომელიცა გაფ-რინდა ფანჯრითგან.—

მე ეს სიზმარი მეგონა. ვისრისე თვალები, ცხვირი და ბოლოს დავრწმუნდი რომ სიზმარი არ იყო.

შევეხვეწე პალესტრას, ეს მაზი ჩემთჳსაც ეშოვნა; წაესვა ტანზედ, რომ ეგები მეც ეს ფრინველი გავმხდარ-ვიყავი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, თუ ამ გვარად გადაქცევა როგორ იმოქმედებდა ჩემს სულზედ, სასია-მოვნო იქნებოდა შემეტყო, თუ რა სახით დაიწყობდა ფილოსოფიაზედ სჯას მინერვას ფრინველი.—

პალესტრამ წუნარა გააღო კარი, შევიდა და გამო-მიტანა ერთი შუშა, რომ დრო აღარ დამეკარგა, დავი-სხი ის ზეთი ჴელის გულზედ, რა გავიხადე ტანთ, და მრთელს სხეულზედ წავისვი. ოჰ, საკჳრველებაო! ნეტა რა წყეული საათი იყო, რომ ეს სულელობა ჩავიდინე. უცებ ვნახე, რომ ვიცვლები.... მაგრამ ფრინველათ კი არა... უცებ სად იყო და სად არა, გამომება გრძელი კუდი, არ ვიცი, რა დაემართა ჩემ ჴელების თითებს, ხუთის თითის მაგიერ, გამიხდა ოთხი, ისიც ძვლისა. ჴელი და ფეხები შემეცვალნენ, რაღაც საპალნის პირუტყვის ფე-ხებად. ყურები გამიგრძელდა; პირისახე გამიწოწოლდა. რას ვხედავ!... უცებ შევიქენი ვირი, საით მხრითგან არ გინდათ რომ არ გავსინჯე ჩემი თავი, მაგრამ თქჳენ არ მამიკჳდეთ! სწორეთ ნამდვილი ვირი შევიქენი!.. როგორ? მე? ფილოსოფოსი. ისტორიკოსი, რეტორი და გრამმატიკოსი, ვირი ვარ?— მე, რომელსაცა დამიწყ-

რია მრთელი კაცობრიობის ბუნების შესახები სტატია; რომელსაცა მსურდა დამეფუძნებინა ფილოსოფიის და რიტორიის სხოლა; რომელმაცა ვპოვე ათი შეცდომა გომერის უკვდავს ქმნილებაში; რომელმაცა დავამტკიცე ჭეშმარიტებით რომ ალექსანდრე მაკედონელი თავის დღეში ინდოეთში არა ყოფილა;—მე,—ახლა ვარ ვირი? ოჰ, არა, ეს შეუძლებელია! და რომ არ იქნება!... წარმოიდგინეთ, თუ რა დაუჯერებელი ამბავი იქნება, ეს რომ შეიტყონ ათინაში, ან კიდევ ალექსანდრიაში?.. არც ერთი მსწავლული ამ საქმეს არ დაიჯერებს!... მე მინდოდა ეს საშინელი უბედურება შემეჩივლა პალესტრასათჳს, მაგრამ ნაცვლად კაცის ხმისა, დავიყროყინე; მერე ჩავქონდრე შეწუხებულმა თავი, ყურები ძირს დაუშვი, იმის ნიშნად, რომ პალესტრამ ასეთი უსვინიდისობა როგორ მიყო და რას მემართლებოდა.

—ახ! მე უბედური! დაიყვირა პალესტრამ, რა შემოიკრა კელი, ეს რა შეცდომა მომივიდა,—ნაცვლად იმ წამლისა, რომელიცა ფრინველად აქცევს კაცსა, სხჳა წამალი გამომიტანია რა ვქნა, ეს წყეული წამლები სულ-ერთმანერთსა ჰგავს! მაგრამ ნუ შეგეშინდება ჩემო საყჳარელო, მაგისი წამალი არის, რამდენიმე ახლად გაშლილი ვარდი რომ შეჭამო, ისევე კაცად გადაიქცევი, ისევე რიტორი იქნები; ისევ ის ფილოსოფოსი, ისევე ისე, ჩემის გულის მფლობელი, მხთლოდ ეს არის, მინამ გათენდებოდეს, უნდა მოთმინება იქონიო, საწყალო ლუკავ! ახლა ბაღჩა დაკეტილი არის და გასაღები ქალ-

პატრონსა აქვს, ამ ღამეს აგრე როგორცა ხარ, ვირი იყავი ხვალ დილა ადრიან ქალბატონს გასაღებს გამოვართმევ, დავკრეფ ახლად გაშლილს ვარდებს, მოგიტან, გაჭმევ დ იქვე კაცი გახდები.

ამას რომ მეუბნებოდა. თავის რბილს ხელს მისომდა თვალებზედ, ყურებზედ დ ზურგზედ, რომელიცა, როგორც ნამდვილი ვირი, საცოდავათ ვიდექი ოთხ ფეხზედ იმის წინ!... მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, ბატონო მკითხველო რომ, გრძნობით, გონებით მეცნიერებით ისევ ის ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, რიტორი დ გრამმატიკოსი ვიყავი.

—ახ! ღმერთო! ყვიროდა პალესტრა! მოდი ჩემო გულო, ჩემო კუჭო თავლაში, თორემ მაგ შენ ჩლიქებით, სრულებით წაახდენ ამ მფირფას ყიზილბაშურ ხალებს!.. მერე ჩემი ქალბატონი, კაპასი ქალი არის!.. მოდი, მომყევი, მომყევი ჩემო საყვარელო!

—პალესტრა! ჩემო ღმერთავ! იცი რა გითხრა!.. ეს მაზი შენც წაისვი დ შენც ფაშატ ვირად გადაიქეცი, კამპანიისათჳს მაინც. აბა მარტო მე რა ვქნა? ერთად წავიდეთ მაშინ თავლაში. მაშინ უფრო მხიარულად ვიქნებით!

—მაგას რას ანბობ ლუკა! ხომ არ გაგიჟდი! მეც რომ ვირად გადავიქცე, ხვალ დილით ბაღჩის კარს ვინ გააღებს?.. გასწი თავლისაკენ მარტო შენ ჩემო მეგობარო! კარგია დ ჩქარა! ნუ კარგავ დროსა!

რა ვწუხვლიდი პალესტრას ქარიანობასა დ ვიმ-

ტვრევდი რა თან კბილებს, მეტი გზა არ იყო, გავე-
მართე თავლისაკენ, სადაცა ებნენ ახურთან ერთი ჩემი
ცხენი დ მეორე ბუნებითი ვირი იპარხასი, რამწავს იგ-
რმნეს ჩემი მისვლა მეზობლად, იმ წამსვე შიშისაგან,
რა არის საჭმელი არ წაგვართვასო, იცქვიტეს ყურები
დ მოიმზადეს უკანა ფეხები, ჩემს მოსაგერებლად. მე ეს
შევნიშნე დ მაშინათვე მოვშორდი რა იმათ ახურს, მი
ვიმალე კუთხეში. აქ, მწუხარებისაგან, უნდა გამომეთქვა,
ჩემი უბედურება დ ნაცვლად ამის, საშინელის ხმით
დავიყროყინე, «ეს რა დასაღუპავი უბედურებითი შემთ-
ხვევა მომეცა,»—ვფიქრობდი მე, როდესაც გონებაზედ
მოველი; რა მომივიდოდა, ახლა რომ მგელი შემო-
სულიყო აქ თავლაში, ან კიდევ რომელიმე მტაცებელი
პირუტყვი..... დ მე.... მე, რომელსაცა არავისთვის ბო-
როტი არ მიქმნია, ლუკმა ლუკმად მაქცევდნენ: ვფიქ-
რობდი ამ შესაძლებს ჩემს თავზედ მოსავალს დ ისკი
არ ვიცოდი, რომ უფრო მეტი უბედურებაები წინ მედვა
მე საცოდავი დ უბედური!...

ღამე იყო ბნელი: ყველგან სიჩუმე; ის საათი მო-
ვიდა, რომელს საათსაც ძილი ტკბილი არის კაცისა-
თჳს დ ღრმაცა. უცებ შემომესმა კედლითგან ბრახა-ბრუ-
ხი, თითქოს ანგრევენო, მართლად დ, აქცევდნენ! მერე
ვნახე, რომ კედელი გამოხვრიტეს დ ვიღაცა შემომძვრა,
ამას მოჰყვა მეორე, მესამე დ მრთელი თავლა გაივსნენ
ქურდებითა. ესენი პირველად შესულიყვნენ, სახლის პა-
ტრონისას, შეეკრათ თოკით იპარხი, პალესტრა, ერთიც

ვიღაცა ბიჭი, უთუოდ სახლის მოსამსახურე და მთელს სახლში რაც რამ ყოფილიყო, მოეწმინდათ, შეეკრათ და ბარგი გარეთ ეწყოთ. როდესაც ამას მორჩომილიყვნენ, ახლა ჩჳენთან შემობმანდნენ. გაგვიყვანეს გარეთ, ამ ბარგი ბარხანით ზურგები დაგვიტვირთეს რა სამივესა, დიდრონის კეტებით მოგვდევდნენ უკანითგან, გაგვირეკეს წინა და შეგვაყენეს ერთს გაუალს ვიწრო ბილიკსა, რომელიცა მიდიოდა მთისაკენ. არ ვიცი, რა მდგომარეობაში იყვნენ, ის ორნი; ჩემი ცხენი და იპარხის ვირი, და მე კი რაც შემეხება, იმდენი მცეს კეტები, მლივს ბარბაცით მივდიოდი. ფეხშიშველა სიარულს, მე ჩემს დღეში არ ვიყავი, ჩვეულს და წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, შიშველა ფეხებით, გაპირულს ქვებზედ, დიდი საპალნის ქვეშ რაც შემეძლო მივჯაგჯაგებდი, ამისათჳს რომ, თუ პატარა შევმდგარვიყავი, კეტები იყო რომ ჩემზედ მოდიოდა! ყოველს მინუტს და მინუტს ვიბორმიკებდი, მაგრამ დავარდნის ნებას ვინ მომცემდა, ამისათჳს რომ ერთი ავაზაკი ვიღაცა, იმ ქურდებისგან, ისეთ ისეთს სასრეებს გამაწნავდა უკანა ფეხებში, რომ მაშინვე ტანში გავიმართებოდი. ამ ტანჯვაში რომ ვიყავი, უცებ, რა ველარ მოვითმინე, წამოვიძახე: „ოჰ, ცეზარო, შემიბრალე მეთქი!“ მაგრამ რას იტყვით, კიდევ ამ სიტყვების ნაცვლად, ყროყინი გამოხდა ჩემის სიტყვების ნაცვლად. მხოლოდ ამ გრძელი ასოს ოო!.. ჩემის პირითგან ისმოდა ცეზარის სახელი არცა ვის გაუგონია. იმ წყეულმა ავაზაკებმა, რომ ნახეს მალიან

დავიყროყინე, რა არის ამის ხმაზედ უკან არავინ დაგვე-
დევნოსო, სუყველამ ერთად დამიშინეს კეტები და სახრე-
ები, უეჭველია ჩემი ყროყინი იმათ სხჳა ფერ შეესმათ,
რომელიცა მე არც კი მინდოდა! მაინც და მაინც ხმა
გავიკმიდე და რაც უნდა ტანჯვა მამდგომოდა, ხმას რო-
გორღა ამოვიღებდი გზაზედ. ამითი ცოტა ცემა შემიმ-
სუბუქდა.

გათენდა და ბევრი მთები კიდეც გადმოგვევლო, რა
არის გზაზედ ბალახს არ დასწვდნენო და იმითი არ შე-
გვაგვიანონო, გზაზედ პირზედ ხაფანგები გვქონდა გაკე-
თებულები. აქ რომ ვნახე ჩემი თავი ამ მდგომარეობაში,
მაშინ სწორეთ დავრწმუნდი რომ ვირი ვიყავი და ამ
მდგომარეობითგან თავის დღეშიაც ველარ გამოვიდოდი.

შუადღისას მივედით ერთს რაღაცა სოფელში, ამ
სოფლის მცხოვრებნიც ამ ქურდების თაბუნს ეკუთვნო-
დნენ, ეს ცხადათა სჩანდა. ისინი დიდის სიყჳარულით
მოეხვივნენ ამ ავაზაკებს ჩჳჱნ მტრებს, სთხოვეს დაე-
სვენათ და სადილიც მზათ დახვედრილი ჰქონდათ, რაც
ჩჳჱნ საცოდავ პირუტყვებს შეგვეხება, შეგვიყვანეს გომ-
ში და ბაგა გაგვიმსეს ქერით; ჩემი ამხანაგები ერთი
მეორეს აღარ აცლიდნენ, ერთმანერთსა სტაცებდნენ ქერ-
სა, ისე სიხარბითა სჭამდნენ, მე კი, მარტო, მშიერი
ვკვდებოდი, აბა სად მექნებოდა შემთხვევა, მე უბედურს
ფილოსოფოს, ისტორიკოზს, რიტორს და გრამატიკოზს,
მეჭამა მოუხარშავი ქერი. ამ შეწუხებაში რომ ვიყავი,
გარშემო მივიხედე-მოვიხედე, ეგება ჩემი შესაფერი საჭ-

მელი რამ მენახა. უცებ, გომის კარებითგან, ესოს იქით მხრივ შევნიშნე ბაღი, სადაცა ეთესა მშვენიერი მწვანილი, რომლის საშუალ იშლებოდნენ ვარდები.

სახლითგან, სადაცა ავაზაკები ისხდნენ, ვერ დამინახავდნენ, ყველა სადილის ჭამაში გართული იყო, გამოველი წუნარა, მიველი კარებთან და შეველი ბაღში, იმ აზრით, რომ მწვანილი მაინც მეჭამა. უფრო მეტად შემაცდინეს ვარდებმა, ვიფიქრე—ვჭამ თუ არა ამ ვარდებს, ისევე კაცად გადავიქცევი მეთქი, თჳთ მოკლეს დროში, მთელი ბაღის ბოსტნეულება სულ ერთიან შევჭამე, ოხროხუში, ნიახური, ქინძი, ხახვი თუ სხუა, რაც კი რამ მომხვდა სულ გავაწყე, რაც არა და, სულ ფესითა ვქელე. ბოლოს მივახლოვდი ვარდებს და ჩემ საუბედუროთ, თურმე ვარდები კი არ იყვნენ, ეს იყო ნარგიზი, რომელიცა დიდი მავნებელია ცხენისა და ვირისათჳს, ყველანი გვარწმუნებენ, პირუტყვმა რომ ჭამოს ნარგიზი, მაშინვე მოკვდებაო.

ჩემ საუბედუროდ, მებაღემ თვალი შემომასწრო, რომ ბაღი ავაოხრე,—დამინახა თუ არა, ერთს დიდს მარგილს ჴელი წამოავლო და გამოიქცა ჩემკენა. მე, როგორც დამნაშავე, იქავე ადგილობრივ დამიჭირეს. როგორც წვიმა, ისე წამოვიდნენ ჩემზედ კეტები, ხან გვერდში მარტყავდა, ხან თავში, ხან ფეხებში, იქამდინ მცემა მინამ არ ნახა, რომ ის ის არის უნდა წავქცეულიყავი. ამ დროს მეც კი ბრაზი მომივიდა, მალა შემოვიკრიფე და ორივე უკანა ფეხები ვტყორცნე შიგ გულში და ის ავა-

ზაკი რა, გაიშხლართა გულდაღმა მწვანილში, მოუსვი, გადავარდი ღობისაკენ ⁊̄ გავიქეცი მთისაკენ. მაგრამ არა, აქაც ბედმა მიღალატა; ის წყეული წამოვარდა, დაიყვირა, არ იქა მიშველეთ მაღლები მიუტიოთო, მაღლების მრთელი ჯოგი იყო ეზოში, ⁊̄ დიდრონებიც იყვნენ, ასე რომ დათვიც კი ვერსად წაუვიდოდათ. მე ვიფიქრე, ამათ კელში ჩავარდნას, ისევე შინ დაბრუნება მირჩევნია მეთქი, მოუარე სახლს უკან ⁊̄ შეველი გომში, მაღლები ისევე დააბეს ⁊̄ მერე კიდევ მამდგნენ ჯოხებით, მცემეს იქამდინ, მინამ თავი ჩავქონდრე ⁊̄ რომ შემატყეს ცუდათ იყო ჩემი საქმე, თავი დამანებეს.

ავაზაკებმა პურის ჭამაც გაათავეს ⁊̄ ისევე შეუდგნენ გზასა, რომელიც დიდი ⁊̄ მძიმე საპალნე იყო, გაჯავრებული, ის ამკიდეს, ისე რომ, ქვეშედან ერთი მუშტის ოდენაღა ვჩანდი, გამიგდეს წინ გზაზედ, არც ერთს წამს სახრე არ მოუშორებიათ ჩემთჳს. საპალნის ქვეშ ხშირად ვიკაკვებოდი, პირიან ქვებზედ სიარულით ფეხშიშველას, ფეხები მეკაკვებოდა, ბოლოს ყუათი სრულებით გამომელია. ამ დროს მამივიდა ერთი კარგი ჭკვიანური აზრი. მოდი წავიქცევი ⁊̄ რაც უნდა დამემართოს, აღარ ავდგები მეთქი, დაესხენი შცემონ, თუნდა მამკლან, მაინც არ წამოვდგები. ისევე სიკუდილი მირჩევნია მეთქი!.. ვინ იცის, იქნება ეს ავაზაკები მოიღალნენ, იქნება კუდარიც ვეგონო, ჩემი საპალნე მეორე პირუტყვებს აჰკიდონ ⁊̄ მე თავი დამანებონ მეთქი, მაგრამ ასე არ გახლდათ საქმე, როგორც მე ვფიქრობდი.

ის წყეული ჩემი ამხანაგი პირუტყვნი თითქოს ამ ჩემს ფიქრს მიმიხვდნენო. მართლადაც: მეორე ვირმა, რასაც მე ვფიქრობდი, ამ გვარივე ეშმაკობა ჩაიდინა. ის წაიქცა შუა გზაზედ და აღარ დაიძრა ალაგითგან! მიაყოლეს ჯოხები. თქუ̂ენ არ მამიკუ̂დეთ, არა დგება და არა! საცოდავს, რაც ჯოხები ეჭირათ კელში ავაზაკებს, სულ-ერთიან ზედ დაამტვრიეს როდესაც ამითი ვერას გასდნენ, დაუწყეს ყურებითგან წევა, ფეხებიდგან, მაგრამ მაინც ის არხეინათ იწვა; ფიქრათაც აღარ მოზდიოდა, ამდგარიყო. ავაზაკების თაბუნმა, გადაწყვიტა ასე: ჩუ̂ენ ამ ვირს როდემდისინ მოუდგეთო, ყოველი წამი ჩუ̂ენთჳს ძვირფასი არისო. ამ რჩევას რომ მორჩნენ, იმ დავარდნილს ვირს ჩამოხადეს ბარგი და ისიც მე ამკიდეს; მერე მივიდნენ, იმ ვირს ფეხები დააჭრეს, ყელი გამოსჭრეს, გზითგან გაათრიეს და იქ ახლო კლდეზედ, ხევში ჩააგდეს.

აქ, მე მადლობა შევწირე იუპიტერს, რომ იმ ჩემი განზრახვის შესრულება მე არ მამვსლა, თორე პირველად ის დღე მე დამადგებოდა. ახლა კი დავემორჩილე ჩემს ბედის წერას, გავიმაგრე ფეხები, ხალისით გავწიე და თან ვფიქრობდი, იქნება სადმე შემხვდეს ვარდები, ვჭამ და ისევე კაცად შევიცვლები მეთქი, ზოგი ეს იმედი იყო, რომ ასე ფეხ მარდათ მივჩანჩალებდი. ამ დროს ავაზაკები მოილაპარაკებდნენ, აგერ სადა მივალთ ჩუ̂ენს სახლშიო. ეს რომ შევიტყე, ჩემი საპალნე მაშინ მსუბუქად მეჩვენა და გავწიე.

მზე რომ ჩადიოდა, მივედით ერთს ქოხში, იქ ენთო ცეცხლი დ ერთი ბებერი, რაღასაც ფუსფუსებდა. აქ, ამ ავაზაკებმა შემოზიდეს ეს ბარგი ბარხანა, რომლის ქვეშაც გამოვიარე იმდენი ტანჯვა. შემდგომს დაუწყეს ბებერს დედაკაცს გინება, თუ რატომ სადილი არ დაუხვდათ მზათა.

—რათა ჯავრობთ! ყველა მზათ არის! უპასუხა ბებერმა, პური ბევრია; ძველი ღვინო რამდენიმე ბოჩკა სავსე გაქუსთ; ფრინველის ხორციც, რამდენიც კი გნებავთ მზათ არის.

რა მადლობა უთხრეს ბებერსა, შემოუსხდნენ გარშემო ცეცხლსა დ ქონით დაიზილეს მრთელი ტანი; მერე ყველანი გაუწოდებდნენ კელს ქვაბსა, რომელიცა ცეცხლზედ იდგა, იქიდან იღებდნენ ცხელს წყალსა დ ახლა იმითი იბანდნენ ტანსა, ეს იმათი აბანო, იყო, ვახშამს წინ. იქაური ჩვეულება ეს გახლდათ.

რა გამოვიდა რამდენიმე ხანი, კიდევ მოვიდა ქურდების მრთელი ჯოგი: ესენი სულ ყმაწვილ კაცები იყვნენ. ამათ მოიტანეს ოქროს მშუენიერი ვაზეები, ვერცხლეულება, ძვირფასი თვლები დ ტანისამოსები, როგორც ქალისა, ისე კაცისა. ესენი სულ ერთიან, ერთი სარდაფის მზგავსი ჯურღმული იყო დ იქ შეზიდეს, იქ სხუაც ბევრი რამ იყო, როგორც ჩანდა ადრეც მოპარულები, ამ ახალთ მოსულთაც ჯერ ტანთ დაიბანეს, ჩვეულებისაშებრ. მრთელს ამ ქოხში შეიქნა, ამ ავაზაკების ყაყანი. ამ დროს მოვიდა ჩუენთან ბებერი დე-

დაკაცი და როგორც მე ისე, ცხენს, დაგვიყარა ახურში ქერი. ჩემა ამხანაგმა, რასაკვირველია ამ ქერს მაშინათვე გაუსვა ჴელი, თან მე მიყურებდა, ჭამაში წინ არ გამი-სწროსო. მაგრამ მე რა ქერის დარდი მქონდა და რა იმისი მცხელოდა, რამწავს ბებერი დედაკაცი მოგვშორ-და, თვალი შევასწარი, რომ ჩუჱნ გვერდზედ, გამამცხვა-რი პური ეწყო და შემწვარი ქათმები, ვნახე თუ არა, მაშინათვე მეც ამ საჭმლებს შეუტიე. მეორე დღეს ეს ავაზაკები წავიდნენ სამუშაოთ. რასაკვირველია ეს მუშა-ობა იმათი, ქურდობა და ტაციაობა იქნებოდა. შინ და-რჩნენ, ეს ბებერი დედაკაცი და ერთიც კაცი. სისხლი ყელში მებჯინებოდა რომ უყურებდი, ეს ორნი ამდენს ზინეთს, ვინ იცის ვისგან მოპარულებს, ჴარაულობდნენ. თვალს არ აშორებდნენ იმ სიმდიდრეს ეს წყეულები! ბებერს როგორც იყო მოვერეოდი, ერთის წიხლის და-კვრით იქვე მივჭყჭყამდი, მაგრამ კაცი მიჭირებდა სა-ქმეს. ის იყო ახალ გაზდა, მოსული, საშინელის შე-ხედულობისა, და განუშორებლად ჴრმალი წელზედ ერტყა.

სამწუხარო ფიქრები აღელვებდნენ, ჩემს გულსა. აი მსწავლულის კაცის ბედის-წერა,—ვფიქრობდი მე: ვთხზავდი წიგნებს, ვასწავლიდი ხალხსა, განთქმული ვიყავი მრთელს ხმელეთზედ და უცებ შევიქენ—ვირი. ოჰ, ფილოსოფიავ! უბედურების ნუგეშინის-მცემელო!.. მაშინ, მეტი გზა აღარ იყო დავიწყე ფილოსოფობა და შემიძლიან გაბედვითა ვსთქვა, რომ ჩემ სიცოცხლეში, როდესაც კაცი მერქუა, ასე ფილოსოფიურ ღრმა ფი-

ქრებში არ შევსულვარ, როგორც მაშინ შეველი, როდესაც რომ ვირის ტყავში გახვეული ვიყავი. საკვირვლად მკვირცხლად დ აღვილად გამოვაჩინე დ გამოვიკვლიე მრავალთ-უმრავლესნი გონება მიუწდომელი საგნები,— იმ გვარი საგნები, რომელთა ახსნას, ვერცა თუ პლატონ ფილოსოფოსის სამეცნიერო წიგნში ჰპოვებთ. როდესაც დავისვენე ახურის წინ, მაშინ შეველი ეტიმოლოგიის გამომიებაში, აღმოვაჩინე სამირკველი სხუა დ სხუა საკუთარ საკელებისა დ ზმნებისა როდესაც ამითიც მოვიღალე, მაშინ მომაგონდა პალესტრა, ოჰ, თუ ახლა ამ დროს ის ჩემთან იქნებოდა, მაშინ მე ვიცოდი რასაც უზამდი!... ამ დროს ამოვიოხრე, დავიწყე ტირილი.... თუმცა ვირი ვიყავ, მაგრამ დასწყევლოს იუპიტერმა, როგორღაც იმისი სიყუარული გულში მქონდა!.

სამი დღის შემდგომს ის ავაზაკები მოვიდნენ, ახლა, აღარც ოქრო დ აღარც ვერცხლი არ მოუტანიათ, მაგრამ იმათ მოიყვანეს, ერთი მშუჰნიერი ემაწვილი ქალი; როგორცა სჩანდა, ის იყო ჯერ კიდევ გასათხოვარი, ოჰ, რა ლამაზი იყო!.. საწყალი, ცრემლით იბანებოდა; მრთელი ტანისამოსი შემოხეული ჰქონდა, შავი თმები გაშლოდა დ აწეწოდა. იმ უბედურს, ხის ფოთლები გაუშალეს ერთს კუთხეში დ უთხრეს, აქ მოისვენეო. ბებერი დედაკაცი ამ მშუჰნიერს ქალს გვერდით მოუყენეს რომ ეყარაულნა დ არ მოშორებოდა. ეს ქალი, არცა სვამდა დ არც სჭამდა; სულ ტიროდა დ თმებს იგლეჯდა. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ახ-

ლოს ვიყავი იმასთან, ამ საცოდაობას ვხედავდი! ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ახურთან მდგომმა ვირმა დავიწყე მეტის საცოდაობისაგან ტირილი. ამ დროს ავაზაკები, იქით ჯურღმულში ვახშამსა სჭამდნენ.

კიდეც თენდებოდა ერთი ავაზაკი, რომლისაც რიგი იყო და ჰყარაულობდა შარა გზაზედ, მოვარდა სირბილით და უთხრა ქურდებს, რომა ვიღაცა მდიდარი კაცი დიდის ბარგით, გზაზედ მოდის და არ იქა, ჩქარაო. უცებ ამოდგნა ავაზაკები წამოცვივდნენ ფეხებზედ, შეისხეს იარაღი, შეგვკაზმეს როგორც მე, ისე ჩემი ცხენი და გაემართნენ სიჩქარით. მე ვიცოდი რომ მივდიოდით სათულაოთ, კაცის მოსაკვლელად და ამის გამო არ მომდევდა წელი. ავაზაკებს კი ეშინოდათ არ დაეგვიანებინათ; ამის გამო რაც მალა ჰქონდათ მიშენდნენ სახრეებს. შეუდექით გზასა, შეგვხდა საცოდავი მგზავრი, რომელსაცა სულ ერთიან დაეცნენ იმის ბარგით დატვირთულს ეტლსა, როგორც მგზავრი ისე იმისი თანამოგზაური დახოცეს, რაც რომ მსუბუქი ნივთები იყო ძვირფასი, ის თჳთან აიკიდეს და რაც მძიმე რამ იყო, ის სულ ჩუჱნ აგვკიდეს, დანარჩენი დამალეს ტყეში. ჩუჱნ დაგვაბრუნეს შინა. სახრეებმა ისეთი ყუათი მომცეს, რომ რაც შემეძლო მოვჯაგჯაგებდი; ამ მოჯაგჯაგებაში, უცებ ფეხი წამოვკარ გაჭირულ ქჳასა და მოვიტეხე ჩლიქი, ფეხის-გულს საფრად მეალი რომ აღარა ჰქონდა, ქვებზედ სიარულით მტკივოდა საშინელის სიმწარით ის ცალი ფეხი, რომლის გამო დავიწყე კოჭლობა.

—რას თავში ვიხლით, ამ ვირსა, მოილაპარაკებოდნენ ავაზაკები გზაზედ, რომელიცა ყოველ ფეხის გადადგმაზედ ბორძიკობს! ის არა სჯობია ამისთანა მყრალი და საძაგელი, აქავე გადავჩეხოთ სადმე კლდეზედ, თორემ, ეს ტიალი, რაღასაც უბედურებას შეგვამთხვევს სადმე.

—მერე რაღას უყურებთ? მიუგო მეორემ. რადგანც გადაჩეხაა და, გადავჩეხოთ! ჩუენის ცოდოების გასაწმენდათ, მითომ იუპიტერისათჳს მსხვერპლი შეგვიწირავს, მერკური გამოგვიგზავნის ბედნიერებასა.

რასაც ლაპარაკობდნენ, მე ეს ყველა მესმოდა. ბოლოს ვნახე, რომ აღარა ხუმრობდნენ, ჩემი საქმე მკვახეთ იყო, რა მექნა! მეტი გზა არ იყო, კოჭლობიდან ჴელი უნდა ამეღო და ფეხ-მარდათ დამეწყო სიარული. სიკუდილის შიშმა, რაც ტკივილი მქონდა სულ დამავიწყა.

როდესაც შინ მოველით, ცოტა შევისვენეთ, საპალნეები ჩამოგვხადეს, შეალაგეს და დასხდნენ კიდევ პურის ჭამაზედ დაღამდა, აიკრიფნენ ავაზაკები და გამგზავრდნენ ტყისაკენ, მიმალულის ქონების წამოსაღებად.

—ეს მყრალი ვირი, საღღა უნდა წავათრიოთ! რას თავში ვიხლით! ჩლიქი სულ აღარა აქუს. ზოგი ჩუენ წამოვიღოთ, ზოგი ცხენს ავკიდოთ და მოვიტანოთ.

ღამე იყო ჩინებული, მთვარე მშუენიერად ანათებდა. ეს რომ ვნახე, გული მეტკინა და ჩვეულებრ დავიწყე ფილოსოფობა, ოსვრა, ფიქრი.

„როდემდის უნდა მოვითმინო ეს ტანჯვა, ვფიქრობდი მე: როდემდის უნდა ვიყო აქა და ველოდე, თუ როდის მიმცემენ ეს წყეულები ყორნების შესაჭმელად? ეს ხომ არ ამცილდება; საქმე ისე არის ჩემი. ფეხი მტკივა, აბა რაღას შემინახამენ, უეჭველია კლდეზედ გადამჩეხამენ. მოდი ერთი ამასაცა ვცდი, მაინც კარგი მთვარიანი ღამეც არის, გზას გავიგნებ, არცა ვინ არის შინა; ან რომელი იქნება სულელი, რომ არ გაექცეს თავის მკვლელებს!... ჰალესტრა!... ჩემო ღმერთავ!.. ჩქარა გნახავ და მოგეხვევი!"

ამ ფიქრში რომ ვიყავი, შევნიშნე რომ დაბმული არ ვიყავი. ის აღვირი რომლითაც, მათრევდნენ უგზოუკვლოთ, მთაში კლდეში და ღრეში, ეკიდა კუთხეში მაშასადამე ვიყავი თავისუფალი. დამთქნარების დრო აღარ იყო? მაშინათვე გამოვარდი თავლითგან და გაველ ალაყაფის კარებში. ბებერმა დედაკაცმა რა ჩემი ეზოში გამოვარდნა შეიტყო, გამომიდგა უკან, წამავლო კუდში ხელი და რაც მალა ჰქონდა უკან მეწეოდა. ვიფიქრე: მიჯობს კლდეზედ გადავარდე სადმე, ათას სიკუდილს შევხუდე, ვიდრე ჩემი სიცოცხლე ასე ბოლო მოუღებელ მდგომარეობაში გავატარო და ისიც, ერთს ვიღაცა ბებერს დედაკაცს დავმორჩილდე მეთქი.

(ხოგი შემდგომ ნომერში იქნება).

## სხჳა და სხჳა ამბავი.

მშვიდობა თქჳენთან, ჩემნო კეთილის მსურველნო ძმანო და მეგობარნო! დიდიხანია თქჳენთან საუბარი არა მქონია, ეხლა შევხვდით სალაპარაკოთ და იმ გზაზე მაყენებთ, რომ რითიმე გაცინოთ; მე ჯერ, არა გამიგონიარა ახალი ამბავი და უკეთუ თქჳენ იტყვით, სასიამოვნოთ დარჩება ჩემს ყურსა.—მაგრამ ამასაც მეუბნებით, რომ ვითომ არა გსმენიათრა და ისევ მე გიამბოთრაიმე, ან მართალი და ან ტყუილი, რომ ტყუილ ლაპარაკს შემაჩვიოთ. არა!—მე როგორც მესმის, არც ტყუილი ლაპარაკია საკადრისი და არც ჭორიკაობა. ამისათჳს, რომ ჭორიკაობით და ფლიდურის ენით ვერას მოვიგებ; თუ არ პატიოსნებით და კეთილის-ყოფაქცევით. მაშასადამე უნდა ვეცადო, მაღალს და მდაბალს რითიმე ვასიამოვნო, რომ მეც მივხვდე რაიმე კეთილსა. ბევრჯელ ესეც გამიგონია; „ნუ მიჰყვები სიმართლესა, თორემ გამოგილევს სინათლესაო;“ სინათლე ჯერ კი არა მაქჳს გამოლეული, მაგრამ, ბარაქა კი მაგდენი არა გახლავსთრა.— ასე ჩემნო კეთილნო! უმჯობესია სიმართლე‘ მივყვეთ მაღალნი და მდაბალნი, თორემ სიბრუნდით ვერას შევიძენთ.—ამისათჳს, რომ ჩჳენ გამ-

ჩუენს მარად სიმართლე უყვარს; ჩუჱნ უთუოთ უნდა წარ-მოვიდგინოთ ადამ და ევას მოთხრობა, თუმცა საქაოს განცხრომით არა ვსხედვართ სამოთხეში, მაგრამ, ვინც არის აქაც არის და იქაც იქნება; ასე ჩემო კეთილის მყოფელნო. ახალი კი ჯერ არა გამიგიარა სოფელში და თუ გსურთ და ლაპარაკით არ შევაწუხებთ ძველ ან-ბავს მოგახსენებთ, იმ დროსას, როდესაც იულონ და ფარ-ნაოზ მეფე კელმწიფობდნენ: იმ ჟამს ერთი ანჩისხატის უბნელი მანდილოსანის ქალი ყოფილა შვიდის წლისა; იმ ჟამად თითქმის მხირი ტყე ყოფილა, მხოლოდ ათი-ოდე სახლის მეტი არა ყოფილა აშენებული, ის სახ-ლებიც მოშორებით ყოფილან ერთმანეთზე, და ამასთა-ნავე ძალიან შიშიც ყოფილა ლეკისა და ჯერ მთაწმინ-დის საყდარიც არა ყოფილა აშენებული. ზემო ხსენებუ-ლი მანდილოსანი ქალი, (ე. ი. თალია). მიუციათ შე-გირდათ იქაური მოლოზანისათჳს; იმ მოლოზანს შე-დი ქალიც სხუა ჴყოლია შეგირდათ ასე რომ იმის მე-ტი სასწავლებელი არსად ყოფილა ქალებისა. ხსენებულს რა კი ახლოს საყდარი არა ჴქონია, ამისათჳს უფიქრნია საყდრის აშენება სადაც ეხლა არის მთა-წმინდის საყდა-რი; თუმცა აშენება კი სდომნია, მაგრამ, წყალი მო-შორებით ყოფილა ვერ გაუბედნიათ ამოზიდვა შიშის გამო. ამაზედ საშინლათ შეწუხებულა, ერთი კვირა უმარ-ხულნია, გულმოდგინეთ ულოცნია და ლოცვაში კი და-სძინებია; იმ ღამეს ვითომც სანუგეშო სიზმარი უნა-ხავს, ამდგარა მეორე დილით და მთა-წმინდის კლდეზედ

ასულა რომ იმ ღამის სიზმარი აუხდინა. — მართლათაც გამოქვაბულ კლდეს მისდგომია, უნახავს, რომ რძით ყოფილა სავსე; მაშინათვე წყლის მაგიერათ იმ რძით აურევიათ კირი და დაუწყვიათ მთა-წმინდის აშენება. კვალად აღარა ჰქონიათ წყალი, რომ აერიათ კირი ასაშენებლათ; მეორე დილაზედ კვალად უნახავს, რომ გამოქვაბული კლდე ყოფილა რძით სავსე. მესამეს დღეს და აგრეთვე მინამ დაასრულებდნენ, მინამ ყოველდღე დილით მოსულან სამი ირმები და თჳთვე უშველიათ და უვსიათ იგი კლდე. თუ გსურთ, რომ გაიგოთ, მთა-წმინდის ძველი საყდარი ირმის რძით აუშენებიათ: თავი მოლოზანი ყოფილა და რვა შეგირდებიც მოხმარებიან რაც შესძლებიათ; ეს მიანბო ცხონებულმა თალიამ. ამ ხსენებულ მოლოზანთან როდესაც წიგნი და კელის საქმე დაუსრულებია, გამოუყვანიათ და გაუთხოვებიათ: თალია აღორძინებულა შვილის-შვილებით. თალიას ქმარი და მაზლები რაკი თოფხანის გამკეთებელნი ყოფილან, ამის გამო დიდი მიღებულნი ყოფილან ასე, რომ ყოველ დღე თითო კაცს ულუფათ ჰქონია ერთი ლიტრა ნამცხვარი, ნახევარ ლიტრა ხორცი, თუნგი ღვინო, ჩარექი ბრინჯი, ნახევარ გირვანქა ერბო, და აგრეთვე გირვანქა ყველი; სხვათა შორის, წლის თავს ან ფულათ და ან ხალათი. ამას გარდა: ანჩიხატის უბნიდგან მინამ რუსის იარმურკამდინ, ხსენებული თალიას ქმრისათჳს და მაზლებისათჳს უჩუქებია მოწყალე მეფეს. მაგრამ ისიცა მკითხეთ რატომ აღარა აქჳსთ დანაშთენ მათ მა-

მავალებით; თუმცა კი არ გვკითხებათ, მაგრამ მე რო იმათი განცხრომით ცხოვრება მესმა, მეჯავრება, რომ დანაშთენებით აღარა აქჳსთ. აი რატომ აღარა აქჳსთ; იმიტომ, რომ ისინი ყოფილან უგუნურები და მასთან საშინელი ლოთები, უყიდნიათ და უჭამიათ იმ დროს როდესაც, რომ კოდი პური ექვს შაურათ ყოფილა, თუნგი ღვინო შაურათ ყოფილა, ასი კვერცხი ხუთ გროშათ ყოფილა, ქათამი კაპეიკათ ყოფილა. ახლა თქჳენ გაამართლეთ წარსულნი, გაამტყუნეთ ამის დამ-წერი რომელიც, რო იაფობაც ყოფილა და ყოველ დღეც ულუფაც ჰქონიათ, — მაგრამ არა! კაცი, რომ იქნება ლოთი და დაუფიქრებელი ის არის და არა სხჳა. ბატო-ნო იმ იაფობაში კიტრის ფასათ უყიდნიათ უქეიფნიათ და დანაშთენებისათჳს კი აღარა უზრუნიათრა. რა მეფეს ეს ანბავი მოხსენებია, გამწყრალა ისე, რომ თურმე დანიავებას უპირობდა, მაგრამ მაინც კიდევ შეჰ-ბრალებია და ეხლა რაშიაც ჩჳენ ვსდგევართ ის უბო-ძებია, ისიც ამოწყვეტილი კაცის სახლი: ესე იგი მეე-ლიბური დარბაზი ოთხ ბოძიანი, სიმაღლით ექვსი სა-ჟენი, და სიგრძე სიგანით 36 კვადრატი საჟენი; ისიც დამტკიცებით და არა დაუმტკიცებლათ, რომ იგი დარბა-ზიც არ გაეყიდნათ და არ შეეჭამათ. რომელიც, რომ ჰაჯი ბერძენოვათა სწერია დეკუმენტზე; თუ მკითხამთ ის დოკუმანტი გახლავსთ სიგრძით ორი არშინი და სი-განით სამი ჩარექი, მხოლოდ რვა ბეჭედი კი ასვია. ჴსენებული თალია როდესაც დაქვრივებულა ამას დარ-

ჩენია ერთი პირ-მშო შვილი (სახელად სოლომანი). იგი სოლომანი მიუცია სასწავლებელში, რომ მღჳდლათ ეკურთხნათ. რადგან ბევრი შეგაწყინოთ როდესაც მომზადებულა საკურთხებლათ, გასჩენია მტერები, ურჩევიათ სოლომანისათჳს, რომ ფულები ეშოვნა და ისე კურთხეილიყო. მტრებს დაუწყვიათ პლანები, რომ სოლომანი რევიზორათ გამხდარიყო და ისინი კი ყოფილიყვნენ სოლომანის თანა შემწენი. მართლათაც სოლომანი გაუხდიათ რევიზორათ, წაუყვანიათ და, უვლიათ ქჳეყნები; და რომელ ქჳეყანაშიაც უდროოთ მისულან ურეკიათ ზარი, იმისათჳს რომ შეეტყოთ ამათი მისვლია; იმ ზარის რეკაზე, მისულან მღჳდლები — კანკალით და ცახცახით და ცრუ რევიზორისათჳს შორიდგან ამბორი გადაუხდიათ. ამ დროს სოლომანს იმათთჳს შეუტევია ფეხების ბრაკუნით: თქჳენ ეი. — რათა ხართ ეგეთი უზდელები, რომ პირ და პირ ჩემთან მოდიხართო. რა მღჳდლებს შეშინებიათ, შიშით და კრძალვით სოლომანისათჳს კელი უთხოვნიათ და მთხვეულან. თქჳენ სოფლელი გლეხი კაცებივით გული გაგქსუებიათ და საყდარში აღარ შედიხართ და აღარა ლოცულობთო; ეს როგორი საქმეა, ესლავე სუყველას აბიდით არქიელთან წარგადგენთ, რომ თქჳენ სასულიერო წოდებაში აღარ ირიცხებოდეთო. იმ მღჳდლებს რასაკჳრველია მართალი რევიზორი ეგონებოდათ, და ამასთანავე შეეშინდებოდათ კიდეც. ვეღარა უთქვამთრა ამის მეტი: ნუ გვიწყრებით თქჳენო კურთხევავ! ჩჳენ, თქჳენს ხელში ვართ და რო-

გორც გსურდეთ ისე გვიმსახურეთ; იმიტომ დღეს ვერა ვწირეთ, რომ ერთი კვირაა ყურძნის დაწურვას უნდებითო. იმათ სიტყვაზე ცრუ რევიზორს თავი გაუქნევია დ აღარა უთქვამსრა მხოლოდ თითის დაქნევით დამუჰქრებია. ხსენებულთ მღუ̂დლებს მიუწვევიათ ცრუ რევიზორი დ კარგი პატივი უციათ დ ორთავ ხუთ-ხუთი თუმანი მიურთმევიათ. ცრუ რევიზორი გახარებული, თავის სვიტით წამოსულა იქიდან დ მისულა საქართუჱლოშიაც, დ, აგრეთვე კახეთშიაც. კახეთშიაც კარგა ხანი უვლიათ დ უშოვნიათ სხუ̂ა დ სხუ̂ა ნივთი დ ფული. ერთი კვირის შემდეგ კახეთში რევიზორის საუბედუროთ მოსულა ნასწავლი ბლაღოჩინი დ ხსენებული ცრუ რევიზორი უნახავს; ბლაღოჩინს არც სალამი დ არც მოკითხვა, პირ დ პირ უთქვამს რევიზორისათჳს: ვინა ბძანდებით დ ან რისათჳს გარჯილხართო. ცრუ რევიზორს, წარბების შეკვრით დ მრისხანის სახით უთქუ̂ამს: მე ვერას გეტყვი დ თუ გსურს ჩემს მხლებლებს ჰკითხე ვინცა ვარო... ბლაღოჩინს თუმცა ერთის შეხედვით ეცნო ცრუ რევიზორათ მაგრამ, მაინც კიდევ უკითხნია. რევიზორის პარტიას უთქვამთ სოლომანზე: ეგა ბძანდება არქიელისაგან გამოგზავნილი, რომ ყოველგან საყდრები დაშინჯოსო. (ბლაღოჩინს). რა გვარები ბძანდებით?. (პირველს). მე გახლავარ წვიმაძე, ეს გახლავს სეტყვაძე დ რევიზორი ბძანდება პოლზაძე. (ამ სიტყვაზე ბლაღოჩინს გაუცინია დ უთქვამს): ჰო, ეხლა კი გიცნობთ ვინცა ბძანდებით. (რევიზორისათჳს). განა თქუ̂ჱნ ვინა

ბძანდებით, რომ ჩემთან ლაპარაკი არ იკადროთ? თქუენ მოსულხართ, რომ მღუდლები მოატყუოთ და დანარბევით იცხოვროთ?

ცრუ რევიზორს თუმცა ფერი სცვლია მაგრამ, მა-ინც კიდევ ომახიანათ შეუტევია: მე შენი ლაპარაკის თავი არა მაქუსო და არც მესმისო; უმჯობესია გამე-ცალო.

ბლაღოჩინს. რასაკჳრველია ჩემი ლაპარაკი არ მო-გეწონებათ; ამისათჳს, რომ ერთი გყავს წვიმაძე, მეორე სეტყვაძე და შენ კი ჰოლზამე. რასაკვრელია ჯერ წვი-მა და მერე სეტყვა, რომ მოიყვანოთ ვინც ვერ გაგიგებთ, იმათთჳს დასაჯერი იქნება და მერე შენკი ისარგებლებ რა კი ჰოლზამე ხარ. ეს უეჭველია თქმა აღარ უნდა ამას; მე შენისთანა ჰოლზამეებისა არა ვიცირა, მე შენ კი არ გაგეცლები, თუთ მე გაგაცილებ აბიდით აქედა-ნაო. რაც შენ სხვებისათჳს ფერი გიცვლევინებია, მე ის არ გეგონოვო. მე შენ გიცნობ ვინცა ხარო; ერთი თვის წინათ ქალაქში, რომ ვიყავი შენ ჯერ ნაკურთხი არ იყავიო, და ახა როგორ მატყუებ, რომელიც, რომ რევიზორათაც გამხდარხარ და ღდიხარ კიდეცო. შენ ისე სტყუი, როგორც იუდა ქრისტესთანაო. ჰო, ჰოლზამე ხარ, ე. ი. შენი თავის სასარგებლოდ.

ამ დროს ბლაღოჩინს მამასახლისისათჳს უთქვამს: მამასახლის ხსენებულნი წვიმაძე, სეტყვაძე და ჰოლზამე არქიელთან წარუდგენიათ—თავიანთ ნაშოვნით; რა არ-ქიელს დაენახა მაშინათვე ეცნო ცრუ რევიზორი. თუმცა

ბევრი ექადაგნა სოლომან რევიზორისათჳს მაგრამ რა-
ღა დროს.

სოლომანს თუმც ტირილით ჰხვეწნია მაგრამ მა-
ინც არქიელს არ უპატივებია და მაშინათვე საპყრობი-
ლეში გაუგზავნია თავის კელქვეითებით ე. ი. წვიმა-
მით და სეტყვამით; რაც ემოვნათ ისიც თან გაუტანებია.
არქიელს სამი დღის შემდეგ ისევ მოუყვანინებია და კვა-
ლად უკითხნია სოლომანისათჳს: აბა შვილო როგორ
ატყუილებდით, რომ საჩუქრები მოჰქონდათო; და თუ არ
მეტყვი საქართუწლოს ჰაერს სრულად გაგაცილებო.

ამ სიტყვაზედ დაუწყვია ლაპარაკი და ყოველივე
მოუხსენებია: თქუწნ როგორც შემოგსმენიათ ისე არ
მოვქცეულვართო; მხოლოდ რაკი სოფელს მივახლოვ-
დებოდით ზარს ჩამოვარეკინებდი და იმ ზარის ხმაზე
მღუდლები მოვიდოდნენო, და რა მღუდლები მოვიდო-
დნენ მე მრისხანეს სახით ვეჩვენებოდიო და გაჯავრებით
ფეხებს დაუბრახუნებდიო და შეეშინდებოდათო; მაშინ
ზოგს ფულს ვართმევდი და ზოგს წინდა პაჭიჭსაო.

ამ დროს არქიელს გასცინებია, სოლომანისათჳს
უპატივებია ამ სახით: წვერი მოუპარსნიათ, მღუდლობა
აღარ მიუცია და სრულებით დაუთხოვნია სასულიერო
წოდებითგან. ზემო ხსენებულები წვიმამე და სეტყვამე
ერთი წელიწადი ციხეში გაუგზავნია და შემდეგი კი არ
ვიცი როგორ განთავისუფლდნენ.

აი ჩემო კეთილის მრჩეველო რა ანბავია და რა
მამხდარა ცრუ ლაპარაკით; ჰო, თქუწნ კი მირჩევთ,

რომ მე სიცრუეს მივყვე და ჭორიკაობით შევაქციოთ. ერთი მითხარით; ხსენებულს და მარად დაუვიწყარს სოლომან რევიზორს, ტკბილის თქმით და ფლიდის ენით რა ჰპატიოსნება მიუღია, რომ მეც იმისებრ გზას დავადგე და სიბრუნდეს მივდიო. არა ძმანო საყვარელნო! თავათ არა ფერი ვარ ამ წუთის სოფელში და რაღა მე მინდა. მე იმასა გთხოვთ, კეთილი გამაგონოთ; კეთილი რაც ვიცი მალაპარაკოთ; სვინიდისიანათ მამიხსენიოთ, რომ მეც თქჳენი ჰპატივის-ცემა შევიძლო. ეს სიტყჳა ჭეშმარიტი უნდა იყოს; ჩჳენ იმდენი უნდა ვეცადნეთ, რომ კეთილ-გონიერებაზედ მოვიყვანოდ ამხანაგნი, და აგრეთვე კეთილ გზაზედ დავაყენოთ, რომ რაიმე შეიძინონ. მე ძალიან მამწონან რუსები და სომხები, რომ ურთიერთის სიყჳარული და გატანა აქჳსთ; უკეთუ დაცემულს ნახამენ, იმტენსა ცდილობენ, რომ რაიმე შეამენინონ და საზდო აშოვნინონ.— მაგრამ ვაი დაბალი ხალხის ბრალი, უფრო ქართჳელებისა; მე არა მჯერა, რომ ქართჳელმა—ქართჳელს გზა უჩვენოს და წარმატებაში წაიყვანოს, ან ჭკუით და ან ცხოვრებით. აბა თვალწინ წარმოვიდგინოთ ქრისტეს სიტყჳა, თუმცა თქჳენკი არ უნდა გითხრათ მაგრამ, არიან ისეთნი რომელთაც წიგნი არ იციან და ახლათ სწავლობენ. აი რა უთქჳამს: „შიშველ ვიყავ და არ შემმოსეთ მე; მშიერ ვიყავ და არ მაჭამეთ მე ჭამადი.— საპყრობილესა შინა ვიყავ და არ გამამიყვანეთ მე:“ და სხჳანი მრავალი ამისთანები. თუმცა ამის ჰასუხი იმათაც უთქჳამს, მაგრამ

მაინც ქრისტეს უბძანებია: თუმცა მართლა მე კი არ ვიყავი მშიერიო არც მწყურვალეო და არც საპყრობილესა შინაო, მაგრამ, ვინც მშიერი იყო და არ გაიკითხეთ, ტიტველი იყო და არ შემოსეთ, გაჭირვებული იყო და არ დაიხსენით! იგი მე ვიყავი.—და უკეთუ გაგვკითხნათ ერთი ათასათ მე დამავალებდითო, და ეხლა კი ვერა ნუგეშს ვერ მიიღებთო.

აი საყუარელნო ძმანო და მეგობარნო, უკეთუ დაცემულს აღვადგენთ როგორც შევიძლიან ისე ღმერთი ჩუჱნთჳს იზრუნებს; მაშინ ცუდი შემთხვევისაგან მორიდება გვექნება, მაშინ გვექნება ურთიერთის სიყუარული, მაშინ გვექნება კეთილი ქცევა—და სწავლა, და მაშინ გვექნება მზრუნველობა დანაშთენებისა.—

ჭო, იმას მოგახსენებდით: რა კი სასულიეროს წოდება სრულიად აუხდია, მაშინ წასულა საქართუჱლოში, იქ დაქორწილებულა და იქვე დამდგარა უჩიტლად, აქ დაუყვია ხანი ხუთი წელი, აქ მისცემიათ ერთი შვილი, აქვე მოუნათლიათ და დაურქმევიათ კონსტანტილე; მღუდელს მეტრიკაში არ ჩაუწერია, ამის გამო არ მიუღიათ სკოლაში, მაგრამ, დედას რაც შესძლებია თავის ღონისძიებით უსწავლებია ქართული კითხვა და ბღაჯვა, შემდეგ თავის ცდილობით მიჭყოლია კითხვას და ღვთით ცოტა რამ ესმის.

ამის მამამ, სოლომან რევიზორმა თქუჱნი ჭირი წაიღო 1840 წელსა, და სოლომანის შვილი ისეთი ხალისიანი და მოსიყვარულეა ახალის ანბავისა, რომ არ

მოგაკლებთ ახალ ანბავს, მხოლოდ თუ ვისმეს არ მოს-წყინდება იმისი ლაპარაკი. უკეთუ გაცნობა გსურთ, სოლომანის შვილი მე გახლავარ.—თუმცა მეც მსურდა ისე მესწავლა როგორათაც სხვათა, მაგრამ, იმდენი შეძლება არ გახლდათ, ჯიბეს ფხიკინი გაუდიოდა; თუმცა ეხლაც კი ვარ რაღაცა, მაგრამ მაგდენი არაფერი; მაგრამ რასაც ვამბობ ესეც ბევრია უსწავლელი კაცისათჳს. შეიძლება შეცდომები იპოვნოთ რამ, მაგრამ კი არ უნდა გამკიცხოთ — და თუ უკეთესი იცით რამ, მადლობელი ვიქნები თქმისათჳს. ამ წუთი სოფელში მჯობთა-მჯობი არ დალეულა ჯერ და რა გასაკჳრველია სხვებმა რომ უკეთესი თქუან.

კონსტანტინე ბერმენოვი.

## გამოკრებული რამდენიმე დარიგება ფრენოლოგიითგან ყრმის აღზრდისათვის.

---

თვითოეული ნაწილი ჩუენის სხეულისა, თვითოეული ორგანო, (ასო) რომელიცა მოვყავს მოძრაობაში, ანუ მოქმედებაში, ჰკარგავს ამ დროს რამდენიმე ნივთიერებასა და სიცოცხლის ძალასა: მაგრამ იმავე დროში იმის ძარღვები და სისხლის-საწოვი ალაგები მოდიან დიდს მოქმედებაში და იმაში ორგანო ეტანება უფრო სისხლსა და სიცოცხლის ძალასა, რომელნიცა უკანვე იბრუნებენ დანაკარგსა. ამ სახით, ხშირდად მოძრაობისგან, ორგანო მიიღებს ხოლმე უფრო მომეტებულს ნოყიერებითს ნაწილსა, თან და თან ძლიერდება და ამასთანავე დიდდება. ეს არის მიზეზი, კელის თითები მსხვილი რომ აქუსთ მეჩექმეებს, რომელნიცა წამ და უწუმს კელს ამუშავებენ; და ხშირად მოტანციებს დიდროვანი სახიზილალე რომ აქუსთ. ეს მრავალჯერ შემოწმებული და დამტკიცებულია საექიმო მეცნიერებითგან.—

მეტის-და მეტის მოძრაობისაგან, ანუ ვსთქუათ მუშაობისაგან, ძალადატანებული მოქმედება დაასუსტებს ძარღვებსა და სისხლის-საწოვს ალაგებსა, ესენი ვეღარ

ერევიან შეიკავონ ანუ დაიბრუნონ დაკარგული ყუათი ᲓᲐ ამისათჳს ორგანო თან-ᲓᲐ თან სუსტდება, ხდება. სი-ყმაწვილის დროს კუჭი მალე ინელებს საჭმელსა, მრი-ელ მალე ხარშავს, ამისათჳს მეტი მოძრაობა, ანუ მუ-შაობა საშიშია; უზომო მოძრაობა შეაყენებს ყმაწვილის აღზრდასა ᲓᲐ შეუძლიან ყმაწვილის სხეულში დაიდვას საფუძველი ხანგრძლივმა ავათმყოფობამა.

ახლა მეორეს მხრივ; თუ რომ მუშაობა, ანუ მო-ძრაობა მეტად სუსტია, მაშინ მოძრაობა რომ მალას არ ატანს, სისხლიც წუნარა ტრიალებს ძარღვებში, კუჭის მონელებაც სუსტია ᲓᲐ ამის გამო წარმოდგება საზოგა-დოდ სისუსტე. ამ მდგომარეობაში რომ შედის სხეული, მაშინ ყოველი მოძრაობა მძიმედ ეჩვენება, მხოლოდ შე-იძლება კი თუ სხეულმა მოიწადინა წუნარ-წუნარა გაა-ღვიძოს საჭირო მოქმედება.

ამ ზემო ნათქვამებიდან გამოდის, რომ ყოველი ორგანო მოითხოვს მოძრაობასა სიმრთელისათჳს,— უამისოთ ყოველი ორგანო სუსტდება, ამას გარდა, მო-მატებული მოძრაობა ანუ მუშაობა ღალავს, ასუსტებს ᲓᲐ ახმობს, ხოლო მცირე მოძრაობა ყუათს ულევს, სიმ-რთელეს უკარგავს.—

ამ სახითვე ადამიანის ტვინია. რამდენიც ადამიანს გრძნობა ფხიზელი აქუს, ანუ ცოცხალი, რამდენიც ფი-ქრი ღრმა ᲓᲐ მალიანი სურვილი, იმდენი ეტანება სი-სხლსა ᲓᲐ სიცოცხლის მალასა ტვინის ნაწილის შესა-ფერსა. ხშირად მოძრაობაში, რაც შეჰფერის ადამიანის

ღონესა, ტვინს მომატებული ყუათი ეძლევა; მეორეს მხრით, მეტის-მეტი გონებითი მოძრაობა, მეტის-მეტი ძრიელი გრძნობა და სურვილი ასუსტებენ ტვინის ორგანოებს და ბოლოს თუ არ მოეშო ამ ძრიელს მუშაობას, სისუსტე იქამდის მიაღწევს, რომ მრთელს ტვინის ორგანოებს მოშლის.

მაშასადამე, უნდა ივარჯიშებოდეს სასულიერო ნიჭიერება, არც მომეტებით და არც მეტის-მეტად ნაკლებ.

მსწავლულები ბევრს ლაპარაკობენ კაცის ბუნებითს ნიჭიერებაზედ. რაც უნდა მაღლა მიაწერონ იმას, მაინც მასწავლებელი არის პასუხის გებაში და იმას აწევს კისერზედ-ვალად და ეს არის უმთავრესი ადამიანის გამაბედნიერებელი საგანი, ამისათჳს რომ იმაზედ არის დამოკიდებული, ყმაწვილის მომეტებული თუ ნაკლები მოძრაობა.თუმცა რასაკჳრველია უბრალო კაცისაგან მასწავლებელს ვერ შეუძლიან შეადგინოს, ანუ აღზარდოს ღერკულესი, მაგრამ ეს კი შეუძლიან, რომ სუსტი ბუნებითი, მოძრაობით გამოიყვანოს ღონიერი. რამდენი მაგალითები ვიცით, ბუნებით მაგარი და ღონიერი ყმაწვილი, შენახული მშობლებისაგან დაკეტილში, ფრთხილად, რა არის არ გაცივდესო, არსად წაიქცეს და თავი გაიტეხოსო, ამ სიფრთხილით, წამხდარა, მძინარა შექმნილა, ზანტი, სუსტი, ზარმაცი და უგონო.

რა არის ბუნებითი ნიჭი? ყველას არ შეუძლიან ამისი ანგარიშის მოცემა თუმცა ხშირად ლაპარაკი აქუსთ ნიჭიერებაზედ. ლაპარაკში რო შეესწრას კაცი სადმე,

ნიჭიერებაზედ, ხშირად გაიგონებს, ბუნებითი ნიჭი აქუს ამასა და ამასაო, მაგრამ ამ სიტყვით თქმაში დიდათა სცდებიან, უფრო კიდევ ამაში სცდებიან, რომ ზოგნი ერთნი ბძანებენ, კაცსა ნიჭი,—სულელი გამოვა, თუ ჭკვიანი, დაბადებითგანვე შუბლზედ აწერიაო. რა შესა-ბრალისნი არიან ამისი მთქმელნი!

ეს ანატომიებით არის გამოკვლეული და დამტკი-ცებული, რომ გოგრას ეძლევა ფორმა ტვინისაგან; ტვი-ნს კიდევ ეძლევა ფორმა კარგის გამზრდელისა და მას-წავლებლისაგან.

მეცნიერებამ დაამტკიცა რომ, ყმაწვილს ტვინი ეზ-რდება შვიდ წლამდისინ, მაშასადამე ამ წლოვანებითგან გოგრა მიიღებს განსაზღრულს ფორმასა. შემდგომში ტვინის და გოგრის შეცვლა, ცოტათი არის შენიშნული, თუმცა კიდევ იცვლებიან მრიელ მცირედ. თვალი რომ შეუსვიოთ კაცსა რამდენიმე თვის განმავლობაში, ეს თვა-ლი პატარავდება. მკლავები რომ უმრავად შეინახოს ადამიანმა, რამდენიმე თვესა, უდუნდება. ასეც ტვინია, ანუ გოგრა, თუ მოძრაობაში არ არის.

აქ რა გავლენა აქუს იმას, რომ დაბადებითგან უნდა დაჰყვეს ნიჭიო, ეს სულერთიან დამოკიდებულია ერთის სიტყვით ყმაწვილის აღზრდაზედ. ან შორს რათ მივდი-ვართ, მდაბიური მაგალითი მოვიყვანოთ: სამუშაოთ ბაღ-ში დავაყენოთ ერთი მუშა გლეხ-კაცი და მეორე სასახ-ლეში აღზრდილი კეთილშობილი,—გლეხ-კაცი მუშა-ობს ღონიერად მთელი დღე და მეორემ ორი ბარი

რომ დაჰკრას, მესამეზედ გადაიქცევა. მუშა კაცი, ამაში აღზრდილია, ყოველთჳს მოძრაობს, უუათი დიდი მიუცია მოძრაობასა.

ავიყვანოთ ახლა ყმაწვილი, რომელსაცა მშობლები დაბადებითგან ანებიერებენ, აჭმევენ, ასვენებენ დ ეს ჰგონიათ ძრიელ კარგი იყოს. ეს მშობლები ძრიელ უგუნურნი არიან. ამ დროს ყმაწვილის გონება ცოტათი მოძრაობს, რამდენიმე წლის შემდგომს ნახავთ, რომ ამ გვარად აღზრდილს ყმაწვილს გოგრის წინა მხარე ცუდადა აქუს მოყვანილი, უკანა მხარე ბრტყელი აქუს.

ახლა ავიღოთ მაგალითად სხუა ყმაწვილი, რომელსაცა თავიანთ ჭკუაში არა რევნიან, მალ-მალე ლანძღამენ დ უშლიან რასაც საქმეს ჩაიდენს, აჯავრებენ, დ მიდიან იმის სურვილის წინააღმდეგ, (რასაკჳრველია ესეც სიყუარულით მოსდით). ამ გვარსა ყმაწვილსა ეკარგება სურვილი დ შეიქნება უგონო მაშინა; ან კიდევ გაბოროტდება, ისწავლის მოტყუებასა, ეშმაკობასა დ შვიდ წლამდინ თუ ასე შეჰყვა, მაშინ ეს თჳსება ისე გაძრიელდება, რომ მოშლა აღარას გზით არ შეიძლება. შვიდ წლამდინ ყმაწვილი უფრო ბევრსა სწავლობს, ვიდრე შემდგომს წლებში; საძირკველი ჴსწავლისა იმ წლოვანებამდინ არის, მაშასადამე სიმკვიდრე იქ მოიპოვება.

მეცნიერება დარწმუნებულია, რომ რაც უნდა ცუდ გოგრიანი დაიბადოს ყმაწვილი, კარგის აღზრდით კარგი გოგრა გაუკეთდება. აბა მოვიყვანოთ იმ არაბის შვილი, რომელიცა მახინჯი არის,— თუ კარგად აღვზრდით, ის ბევრით განსხვავებული იქნება თავის მამაზედ.

ისეთი მჭიდრო კავშირი აქუსთ სულსა და სხეულს ერთმანერთთან; ისეთი მრიელი დამოკიდებულება ერთმანერთისა, რომ მასწავლებელი უნდა დიდის ყურადღებით თვალს ადევნებდეს ამ ორს უმთავრეს საგანსა.

რომ გაუჭრათ ის მარღვი, რომლითაც ტვინი და კუჭი შაერთებულია, მაშინ კუჭის მონელება ანუ საჭმლის ხარშვა შესდგება; აგრეთვე შესდგება მაშინ, როდესაც გონება მრიელს მოქმედებაშია.

კუჭი არის გამომკვები კაცის ყოველის ასოსი, მაშასადამე ის ჰკვებავს ტვინსაცა. თუ რომელიმე ასო კაცისა მოშლილია, ტვინიც იშლება, ყველამ ვიცით, ესა, რომ რომელიც კაცი ავათ არის, გონებაც კაცისა მისუსტებულია. მეცნიერებას ბევრჯელ შეუნიშნავს, რომ უცებ ყმაწვილს დამართვია სიზარმაცე, გონების-დაბნევა, ჯიუტობა და ამას ის მოუსწავებია რომ, შემდგომში ამას მოჰყოლია ავათმყოფობა.

მასწავლებელს ყურადღება უნდა ჰქონდეს, ყმაწვილს ჩუმი ავათმყოფობა ხომ არა აქუს რა, რომ დასჯით, ანუ ბევრის ჰსწავლით, რომლით გონება მრიელს მუშაობაშია, არ მოუმალოს აგებულება. ეს ხშირად მოხდება ხოლმე. რომელიც გონიერი მასწავლებელია, ეს რომ შენიშნოს ყმაწვილში, მაშინათვე ჰქიმს რჩევა უნდა ჰკითხოს. ბევრჯელ შემთხვევა ყოფილა, რომ ამ ავათმყოფობის წინად ნიშნები რომ აღმოჩენილა ყმაწვილში, მასწავლებელი ვერ მიმხვდარა, დასჯისათჳს მოუმატებია, — მოუმატებია ჰსწავლისათჳს, რომლით გონება

ყმაწვილისა მისცემია მუშაობასა ￼ ამის გამო ზოგ ჯერ ჭკუაზედ შეშლილა.

როდესაც ყმაწვილი კარგად არის, გონიერი მასწავლებელი უნდა მოექცეოდეს ყმაწვილსა იმის სხეულის თჳსების შესაფერად.

ტვინის სიდიდე ￼ სიპატარავეზედ არის დამოკიდებული, ყმაწვილის სულიერი ნიჭიერება.

მეცნიერება ყმაწვილის თჳსებასა ჰყოფს ოთხ ნაწილად; აბა ახლა აღვწეროთ თჳთეულად:

1, ძარღვიანი აგებულება. ეს აგებულება რომელსაცა აქუს, ძარღვები სულ იმასა ცდილობენ, ყოველთჳს მოძრაობაში იყვნენ. გარეგანი შეხედულობით თუ ვისმეს სურს შეატყოს, აი როგორია: ყმაწვილი არის წვრილი, თმები თხელი აქუს, ნაზი კანი სხეულისა, წვრილი მკლავები, მაგრამ მოძრაობა ცოცხალი ￼ სწრაფი. ტვინი ￼ ძარღვები მოძრაობას ეტანებიან; გონება მკვირცხლი აქუს. ეს თჳსება აქუს საგენიოზო გონებასა.

2, ჴარბ-სისხლიანი აგებულება. აქ უმთავრესი ალაგი უჭირავთ სხეულში გულ-ღვიძლსა. სისხლის-საწოვ ადგილებსა ￼ გულსა. ამისი გარეგანი ნიშნები არიან: საკმაო ტანის სიზრქე, მაგარი მკლავები, განსაზღვრული ტანის ფორმა, ქერა თმა, ცის ფერი თვალები, მოძრაობას ეტანებიან სისხლის-საწოვი ადგილები. ყმაწვილი ყოველთჳს მხიარულია.

3, სუსტი აგებულება. მკლავები აქუს რბილი, ნათელი თმები. ფერმკრთალი სხეულის კანი; სისხლის ბრუ-

ნვა სუსტი. ტვინი მოქმედებს წყნარა, ნიჭი სუსტი ყოველთჳს წყნარია.

**4**, ანჩხლი-აცებულება. ჰფიქრობენ ვითომც, უმთავრესი მიზეზი იყოს ღვიძლის მრიელი მოძრაობა. ამის ნიშნები არიან: შავი თმები, მქრალი სხეულის კანი, წყსიერი ტანის სიზრქე. ტვინი მოქმედებს მრიელ. ამ თჳსებისა ღონიერია.

ძალიან იშჯათათ შეგხვდება კაცი, რომ ერთს თჳსებასთან ცოტა მეორეც არ ერიოს. ზოგს ოთხივე თჳსება სჭირს, მაგრამ ერთ-ერთი თჳსება ჭარბი არის ყოველთჳს სხეულში.

რამდენიც ყმაწვილი ახალგაზდაა, იმდენი თჳსებას დიდი მნიშვნელობა აქუ̂ს, ამისათჳს რომ თჳსება ეძლევა ბუნებით. ყმაწვილს დაბადების დროსვე ერთ-ერთი თჳსება ჰყვება თანა.

თუ რომ ყმაწვილს დიდი ტვინი აქუ̂ს, ვიწრო გული და მაშასადამე პატარა გულ-ღვიძლი, წვრილი და სუსტი მკლავები, ნაზი სხეულის კანი, მაშინ გონება გადააჭარბებს. ამ გვარი ყმაწვილი ხალისით ჰსწავლობს, ყოველთჳს წიგნი ჴელში უჭირავს განუშორებელი, ნიჭიერება მრიელ გართულს მოძრაობაშია. მასწავლებელს და მშობლებს უხარიანთ, ისინიც ამხნევებენ, მაგრამ ისკი აღარ იციან, რომ ეს მეტის-მეტი გონების მუშაობა ძალას გამოულევს, დაასუსტებს, ავათ გახდის, ტვინი გართული რომ არის მუშაობაში, ვეღარ იცლის კუჭთან შეერთებულის ძარღვით, მისცეს კუჭს შემწეობა,

რომ საჭმელი მოხარშოს, მოინელოს, ამის გამო კუჭიც სუსტდება, მაშასადამე მრთელი სხეული იშლება. ამ-გვარს ყმაწვილებს სხჳა სნეულებაების გარდა, თვალების ტკივილიც ემართებათ. რომელიც გონიერი მასწავლებელი არის, ან კიდევ მშობლები არიან, ისინი უნდა ცდილობდნენ ეს ყმაწვილი მალმალე შეასვენონ, წმინდა ჰაერზედ გაუშონ და იქ სხეულსაც მისცენ მოძრაობა. ამისათჳს არის საჭირო ღიმნასტიკა.

მოჭარბებული სისხლის პატრონი ყმაწვილი, მრთელის გულ-ღვიძლის მქონებელი, თჳთანვე ხალისიანათ თამაშობს, სჭამს კარგად და სძინავს ღრმათა. ამ გვარი ყმაწვილი შკოლაში რომ შევა, პირველად ჭკვიანათ დაჯდება რამდენსამე მინუტს, მაგრამ მალე გაიღვიძებს იმაში მოძრაობის სურვილი და დაიწყებს ტოკვასა; დიდი დასჯა უნდა, რომ ჭკვიანათ დასვა შენ იქ ლექციის გათავებამდინ. აბა ახლა, მიეცით ნება, გავიდეს გარეთ, მოიკლას თავისი გულის მალა, შემდგომს შემოვიდეს და ნახეთ თუ როგორ ჭკვიანათ დაჯდება და მოისმენს ხალისიანათ სწავლასა,

ერთი ყმაწვილი ამ გვარის თჳსებისა, მაშასადამე ზარმაცი სწავლაზედ ხშირად ისჯებოდა, სიზარმაცისათჳს, როდესაც რომ დასჯით ვერა გავაწყვერა, ბოლოს დავნიშნე ხალიფათ კლასში, სადაცა უნდა მოემზადებინა ყოველთჳს მელი, ღრუბელი, რვეულები დაერიგებინა მოწაფეებისათჳს, ერთის სიტყვით გაუჩინე მუშაობა. ერთის წლის შემდგომს, იმდენი მოწაფეებში, ის ყმაწვილი შეიქნა პირველი.

ზემოთა ვთქვით, რომ ყველა ორგანოსათჳს საჭირო არის მოქმედება, ამასთანავე უნდა დაუმატოთ რომ, თუ ერთი ასო სხეულისა მოძრაობაშია, მეორე ასოც მოძრაობაში უნდა იყოს. თუ რომ ხელს ამუშავებთ, ამითი ფეხებს ღონე არ ეძლევათ.

კაცსა გოგრაში სამი ნაწილი აქუს უმთავრესი. ყოველს ნაწილს თავისი ვარჯიში ეჭირვება. გონებითი ნიჭი მოძრაობაში რომ იყოს, ამითი არა შეეტყობა რა სულიერს გრძნობასა. ათასი მაგალითები ვიცით ამაზედ. რამდენი კეთილნი კაცნი არიან, რომელთაცა არა აქუსთ სურვილის ძალა; რამდენი გონიერი და ჭკვიანი კაცები არიან, რომელთაცა არა აქუსთ აგრეთვე სურვილის ძალა.

ვიზედ შეიძლება ვთქვათ კარგად აღზრდილიაო? იმ კაცზედ, რომელსაცა შეკრებილი აქუსთ სწავლით სულიერი გრძნობა და ნება; და ამასთანავე გრძნობა, ნდობა და სურვილი დაემორჩილებიან გასხნილს გონებასა.

ზოგი ერთი მოწაფენი ხალისიანათა სწავლობენ და დიდრონი მოწაფენიც ყურს უგდებენ; ზოგისანი კი, კლასში იძინებენ. თუ კარგი მასწავლებელი არის, და წაუკითხავს კარგათ საქიმო, თუ სხუა მეცნიერება, ის ყოველის ფერს კარგად მოახერხებს. მაგრამ ჯერ სად არის ის ბედი, ჩუენ ყმაწვილებს ამისთანა მასწავლებლები გამოუჩნდნენ. მაგრამ დრო მოიტანს, რომ ესეც მოხდეს და მასწავლებელთ ესმოდეთ თავიანთი ვალი.

## 1871 წელსა.

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზა-ვნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიის ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტიროზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

**Дозволено Цензурою 1871 г. 15 Марта.**